


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმეში, ბედობიც ბეჭდ-
უდბი სიფყვას, ფედილებით და ჭებებით ბუბ-
თის გაფანა ყველა უკადრისმბაჭე უსამაგლესია.

მ-ი

ხუთშაბათი, 30 მარტი. 2017 წ. №67 (8204), გამოცემის 99-ე წელი

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.

ისტორიკოსი მკვლევარი

სათაყვანებელი რელიგიური სინდინდე



...მიეცით ნებისმიერ
ერს დავით
გარეჯი და მას
ისცოთრია ექნება!

⑥-⑦ ნიკო კესხოველი

ვისია სინამდვილეში ღავით გარეჯის სამონასტრო
კომპლექსი და როგორ იქცა ეს საკითხი ორ
მეზობელ სახელმწიფოს შორის საღავო თემად

უსამართლობა
დღის
სინათლეს
ვერსად წაუვა!..



გულნარა სტურუა:

გაუმონარი
რამ გვჭირს
დღეს
ქართველებს!..

④

ნათო საქართველოს: „მართალია, ⑤
ხუთოსანი ხარ, მაგრამ
მოიცადა, ახლა პრობლემის
დამატება არ გვსურს“



③

აკაკი ასათიანი:

შურისძიება რუსეთს
კვირი დაუჯდება!



②

დეკანოზი
გიორგი მამალაძე
პატიმრობაში რჩება

სახელმწიფო
საგადასახადო
დავალიანების
ჩამონარის
შედეგებს
ითვლის

⑧



⑨

ჩვენი
მრონცხებული
ხელმწიფენი

ნარსული - დღევანდლობისთვის

სტარტის ასეთი უნდა

წინ, სპორტსმენო!



ავთანდილ კენჭაძე

⑩



გივი მაჭარაშვილი

23-წლამდელ „თავისუფალთა“ ევროპის
ჩემპიონატი ოპროს დუბლით დაინიშნა



ლატვიის პრეზიდენტს პარლამენტის ისტორიული უსამართლობა, რომელიც ხდება ჩვენს მინა-წყალზე

საქართველოსა და ლატვიის პრეზიდენტები სოფელ ხურვალეთში ჩავიდნენ და სოფლის მოსახლეობას გაესაუბრნენ. მათ ადგილობრივებისგან მოისმინეს ადგილზე არსებული პრობლემები. პრეზიდენტები გაესაუბრნენ მავთულხლართებს მიღმა დარჩენილ მოხუცს, რომელმაც ხელის ტრაქტორი ითხოვა. გიორგი მარგველაშვილი ამ თხოვნის შესრულებას დაჰპირდა.

„ჩვენ ახლა ვიმყოფებით ხურვალეთში და მე მინდა მადლობა ვუთხრა ლატვიის პრეზიდენტს, როგორც ჩვენს მეგობარს, რომელსაც ვაჩვენებთ ისტორიული უსამართლობა, რომელიც ხდება ამ სოფელში, ჩვენს მინა-წყალზე. ჩვენ ვაჩვენებთ ის ხელოვნური ბარიერები, რომელიც აღმართული არის ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში. მინდა ვთქვა, რომ ევროპაში ასეთი ხელოვნური კედლები აგებულია, მაგრამ არც ერთი დარჩენილა ბოლომდე და აი ეს უსამართლობა, რაც აქ ტრიალებს, ბუნებრივია, დაიძლევა, დაიძლევა ძლიერი ევროპული საქართველოს და ქართველი ხალხის გამთლიანების ემოციით. განსაკუთრებით ჩვენთვის ემოციურად მნიშვნელოვანია, როდესაც ჩვენი მეგობრები მოდიან, რათა საკუთარი თვალით ნახონ ეს უსამართლობა. მინდა, კონკრეტულად მადლობა ვუთხრა ლატვიელ ხალხს, ლატვიის პრეზიდენტს ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერისთვის და იმისთვის, რომ თვითონ მოვიდა ამ გამყოფი ხაზის სანახავად“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

ლატვიის პრეზიდენტმა სამწუხარო უწოდა იმ ვითარებას, რომელიც საოკუპაციო ხაზთანაა შექმნილი: „ეს მავთულხლართები ასევე, ჰყოფს ოჯახებსა და საცხოვრებელ ეზოებს და, რა თქმა უნდა, ლატვია არასდროს აღიარებს რუსეთის მხრიდან ასეთ ქმედებებს და ოკუპაციას. ჩვენ ყოველთვის მხარს დავუჭერთ საქართველოს მთლიანობასა და სუვერენიტეტს. მე ვფიქრობ, რომ თითოეული ქვეყნის სუვერენულობა და დამოუკიდებლობა ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ ვიმუშავებთ ამ სიტუაციის მოსაგვარებლად. იმედი მაქვს, რომ ერთად მივაგნებთ ხერხს ამ სიტუაციის მოსაგვარებლად“, — განაცხადა ლატვიის პრეზიდენტმა რაიმონდს ვეიონისმა.

მიხეილ ჯანელიძე: საქართველო ჩააღუპა უხელოვანმა პარლამენტმა თავისი სტანდარტებით

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხეილ ჯანელიძემ ბრიუსელში უფიზო რეჟიმის ამოქმედებასთან დაკავშირებით ბრიუსელში ვიზატი და საქართველოს დელეგაციის მიმდინარე შეხვედრები შეაფასა.



დეპანოზ გიორგი მამალაძის პატიმრობაში დატოვებით სასამართლომ ერთადერთი სწორი და კანონიერი გადაწყვეტილება მიიღო, — განუცხადა ჟურნალისტებს საქმის პროკურორმა სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ.

„მიმდინარეობს გამოძიება იმის დასადგენად, თუ ვინ მიჰყიდა ბრალდებულს ციანიდი და იარაღი, შესაბამისად, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ თავისუფლებაზე ყოფნის შემთხვევაში, ბრალდებულს ფარულ გარიგებაში შეეცა უკვე დაკითხულ და მომავალში დასაკითხ პირებთან. ასევე შეეცდება მიმალვას, ვი-

მიხეილ ჯანელიძის განცხადებით, საქართველომ მიიღო მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იმისათვის, რომ გაღრმავდეს ინტეგრაციული პროცესები.

„ყველა ადამიანი, რომელიც მუშაობს პარლამენტის მხრიდან ევროსტრუქტურებში, ისინი, რომლებიც მუშაობენ საქართველოს ინტეგრაციის პროცესზე, საქართველოსთან ურთიერთობებზე, ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ საქართველოს აქვს განსაკუთრებული პროგრესი. იგი ახორციელებს ძალიან მნიშვნელოვან რეფორმებს, რელიგოზად უახლოვდება ევროკავშირს თავისი სტანდარტებით, ინსტიტუტებით, კანონმდებლობით და, რაც მთავარია, წარმოადგენს ევროპის ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს“, — აცხადებს მიხეილ ჯანელიძე.

მან კიდევ ერთხელ ისაუბრა უფიზო მიმოსვლის მნიშვნელობაზე, რომელიც ახალ შესაძლებლობებს უზსნის საქართველოს მოქალაქეებს, ბიზნესს რეგებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლებს, რათა მათ გააღრმავონ თანამშრომლობა ევროპელ პარტნიორებთან. 2017 წლის 28 მარტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, მთავრობის წევრებთან ერთად, ვიზიტით ბრიუსელს ეწვია, სადაც შეხვედრები გამართა ევროკომისიის პრეზიდენტ ჟან-კლოდ იუნკერთან და ევროპული საბჭოს პრეზიდენტთან დონალდ ტუსკთან.



ირაკლი კობახიძე: აპრილის ბოლოს მოეზადება კონკრეტული დოკუმენტი, რომელიც პასუხს გასცემს ყველა კითხვას

„ჩვენ გვაქვს დღის წესრიგი. ამ დღის წესრიგის მიხედვით, აპრილის ბოლოს მომზადდება უკვე კონკრეტული დოკუმენტი და ის დოკუმენტი პასუხს გასცემს ყველა კითხვას, რომელიც არის დასმული“, — ეს განცხადება პარლამენტისა და საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ არასაპარლამენტო ოპოზიციის მოთხოვნის საპასუხოდ გააკეთა.

„კომისიაში არის წარმოდგენილი 73 წევრი, მათ შორის, ყველა კვალიფიციური პარტია, მათ აქვთ სრული შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ კომისიის მუშაობაში. კომისიას აქვს თავისი დღის წესრიგი. ამ დღის წესრიგის თანახმად გაიმართება დისკუსიების მესამე რაუნდი, რის შემდეგაც ჩვენ არამართო ჩვენ მოსაზრებებს, არამედ უკვე კონკრეტულ პროექტს წარვუდგენთ კომისიის პლენარულ სხდომას და უკვე აპრილის ბოლოს დამტკიცდება საბოლოო დოკუმენტი, რომელიც ინიციატივის სახით იქნება შეტანილი საქართველოს პარლამენტში. ჩვენ გვაქვს დღის წესრიგი. ამ დღის წესრიგის მიხედვით, აპრილის ბოლოს მომზადდება უკვე კონკრეტული დოკუმენტი და ის დოკუმენტი პასუხს გასცემს ყველა კითხვას, რომელიც არის დასმული. კვალიფიციური პარტიებს აქვთ შესაძლებლობა, გამოთქვან თავისი მოსაზრებები და ამ მოსაზრებების დიდი ნაწილი უკვე ასახულია პროექტში“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

შეგახსენებთ, არასაპარლამენტო ოპოზიციამ მიმართვა გაავრცელა — 15 არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტია მმართველი პარტიისაგან ითხოვს, არაუგვიანეს 2017 წლის 15 აპრილისა, საჯაროდ გამოაქვეყნოს საკუთარი პოზიცია კონსტიტუციური რეფორმის რამდენიმე კონკრეტულ საკითხზე.

პარტიებმა პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ხელმძღვანელის ირაკლი კობახიძის, ასევე „ქართული ოცნების“ ლიდერისა და პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის, ევროპის საბჭოს, ევროპარლამენტის და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების სახელზე სპეციალური მიმართვა შეიმუშავეს.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ დღემდე სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობის პროცესში არ იქნა გაზიარებული არც ერთი ოპოზიციური პარტიის არც ერთი წინადადება და შენიშვნა.

ამასთან, მოგვიანებით, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა გიორგი ასვლედიანმა განაცხადა, რომ თუ ხელისუფლება ოპოზიციის მოთხოვნებს არ გაითვალისწინებს, შესაძლოა, არასაპარლამენტო ოპოზიციამ საკონსტიტუციო კომისიაში მუშაობას ბოიკოტი გამოუცხადოს.

პარლამენტის თავმჯდომარე თვითმპარტოვლობის ჩაუქმების შესახებ საუბრობს

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე არასამთავრობო და მედია ორგანიზაციების მიმართვას ეხმაურება და ამბობს, რომ ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას დეტალური მსჯელობა ესაჭიროება. მისივე თქმით, აღნიშნულ საკითხზე მსჯელობა მიმდინარეობს, თუმცა ზემოაღნიშნული განცხადება არ უნახავს და დეტალურად ვერ ისაუბრებს.

„ამასთან დაკავშირებით საჭიროა ძალიან დეტალური მსჯელობა. თავის დროზე გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღებოდა ნაჩქარევად. როცა საქმე ეხება ადგილობრივ თვითმმართველობას, ძალიან მნიშვნელოვანია ფრთხილი მიდგომა. დეტალური მსჯელობის საფუძველზე უნდა განისაზღვროს ამა თუ იმ გადაწყვეტილების პლუსები და მინუსები, მათ შორის, ეკონომიკური ეფექტი, სოციალური ეფექტი და ა.შ. ამის საფუძველზე უნდა მივიღოთ გადაწყვეტილება. შესაბამისად, დღეს ვერანაირი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით, ბუნებრივია, ვერ მექნება“, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

საზოგადოებრივი და მედია ორგანიზაციები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს და საქართველოს პრემიერ-მინისტრს მიმართავენ. 120 ორგანიზაციის სახელით გავრცელებულ მიმართვაში აღნიშნულია, რომ თვითმმართველი ქალაქების რაოდენობის შემცირება ცალსახად უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება როგორც თვითმმართველობის რეფორმის, ისე, ზოგადად, ქვეყნის განვითარებისთვის.



დეპანოზი გიორგი მამალაძე პატიმრობაში რჩება

ნაიდან გვაქვს დოკუმენტაცია საზღვარგარეთ მის კავშირებზე“, — განაცხადა პროკურორმა.

რაც შეეხება პროცესის დახურვას, როგორც პროკურორმა განმარტა, ამის სუფუძველი საქმესთან დაკავშირებულ პირთა უსაფრთხოება იყო.

„პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოებიდან გამომდინარე ვიშუამდგომლეთ პროცესის დახურვაზე. დაცვის მხარე თავის დროზე საუბრობდა სხვადასხვა საფრთხეებზე, თუმცა ასეთ სენსიტიურ თემაზე დღეს სხვადასხვა მანიპულაციები დაიწყეს. ჩვენი შუამდგომლობის მიზანი, მხოლოდ და მხოლოდ პროცესის მონაწილეთა უსაფრთხოება იყო“, — განაცხადა ზვიად გუბელაძემ.

* * *

დეპანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატის გიორგი ფანცულაიას თქმით, დაკავებულ სასულიერო პირს სამედიცინო ჩარევა ესაჭიროება და ერთ-ერთი სა-

ფუძველი იმისა, რომ დეკანოზის მიმართ მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება ყოფილიყო გამოყენებული ეს იყო, თუმცა მოსამართლემ სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო და მამალაძე პატიმრობაში დატოვა.

„გვაქვს დოკუმენტაცია, რომ მამა გიორგი მამალაძემ საქართველოში ვერ გაიკეთა ოპერაცია. გადატანილი აქვს ძალიან მძიმე ოპერაცია გულზე, რომელიც გაკეთდა თურქეთში. როდესაც გაუმჯობესდა გულის პრობლემები, გადაყვანილი იყო ჩავიძის კლინიკაში, ვინაიდან საქართველოს სამედიცინო სისტემაში ამის პრაქტიკა არ არსებობს, დი-აგნოზიც კი ვერ დაუსვეს მას.

მოსამართლის თვალწინ პროკურორებს დავუსვით კითხვა — არის თუ არა ერთი მოწმე მაინც, რომელზეც შესაძლებელია ბრალდებულს მოესდინა ზენოლა. ამაზე პასუხი ვერ მივიღეთ, რადგან არ არსებობს. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ თქვა, რომ არსებობს მოწმეები ზე-

ნოლის საფრთხე და რაც არ უნდა ირონიული იყოს, ეს თქვა იმ მოწმეზე, რომელსაც დაცვა დაჰყვება. საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც შესაძლოა, მამა გიორგიმ გაანადგუროს. მამა გიორგიმ პირდაპირ გამოთქვა მზაობა, რომ ჩააბარებდა ყველანაირ საბუთს იმის უზრუნველსაყოფად, რომ არ მიიმალეოდა და არ გადაკვეთდა საზღვარს“, — განაცხადა ფანცულაიამ.

როგორც ადვოკატმა აღნიშნა, დეკანოზი გიორგი მამალაძე მზადაა სასამართლოში საკუთარი უდანაშაულობა დაამტკიცოს: ჩვენ სასამართლოში, რაც არ უნდა ზენოლა იყოს მოსამართლეთა, გავიგნათ ჩვენს სიმართლეს და ვაიძულებთ მოსამართლეს, მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება“, — განაცხადა ფანცულაიამ.

დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატები საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავენ.

„ტრადიციონალისტთა კავშირის“ ლიდერი **ბაკაკი ასათიანი** „რეპორტიორთან“ საუბრისას პრეზიდენტის კამპანიას „კონსტიტუცია ყველასია“ გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ესაა გიორგი მარგველაშვილის საარჩევნო კამპანია. ასათიანმა ასევე, ისაუბრა „რუსთა-ვი-2“-ის გარშემო მიმდინარე მოვლენებზე და წილების თანამშრომლებზე გადასაწილებლას მახვილგონიერი ხრიკი უწოდა.

– საქართველოს ვიზა-ლიბერალიზაცია
ძალაში შევიდა... რას იტყვობით?

— დადებითი ფაქტია ყველა შემთხვევაში. ჩვენ ვართ ამ კულტურისა და ფასეულობების განუყოფელი ნაწილი. ევროპული ფასეულობები არის ქრისტიანული ფასეულობები და ჩვენ ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანა ვართ. ვიზალიბერალიზაცია ხელს შეუწყობს ბიზნესმენებს, ტურისტებს, სამეცნიერო მივლინებით და სამეცნიერო ინტერესებით წასულ ადამიანებს. ეს არის სიმბოლური გამოსატყულება იმისა, რის კენაც ჩვენი ქვეყანა საუკუნეების მანძილზე ისწრაფვოდა, თუმცა, უნდა განვიხილოთ ერთი რამ — სააკაშვილიდან მოყოლებული უცნაურად ავიჩემეთ, რომ ჩვენ ევროპაში ვბრუნდებით, სინამდვილეში პირიქით, ევროპა მოდის ჩვენკენ. როცა სოციალისტური ბლოკი დაიშალა, ევროპაში დაბრუნდნენ ცენტრალური ევროპის ქვეყნები, რომლებიც გეოგრაფიულად და პოლიტიკურადაც ყოველთვის ევროპის ნაწილი იყვნენ. **ჩვენ ჩვენი კულტურით, ცნობიერებით ევროპელი ხალხი ვართ, თუმცა, გეოგრაფიულად ჩვენ ევროპისგან გავშორებხს ორი კალიან დიდი სივრცე, ჩრდილოეთიდან რუსეთი, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან თურქეთი, რომელთა ევროკავშირში გაწევრიანება ჩვენი უფრო შორეულია.**

დონალდ ტრუპის ღია წერილში აღნიშნული იყო, რომ იმ ხალხს, რომელმაც გადაიტანა ტანჯვა და წვალება ევროპისაკენ მისწრაფების გამო, მცირედით მაინც უნდა დაეჭვფასოთ ნაწვალეზი და სწორედაც, ეს ღია წერილი რომ არ ყოფილიყო, ვიზალიტერალიზაცია არ იქნებოდა. ჩვენი მთავრობის დამახურობა აქ მხოლოდ ის არის, რომ იგი დინებას მიჰყვა.

ყველაზე პარადოქსული ალბათ ისაა, რომ ამას განსაკუთრებით, ცოტა პროვინციულად, ზეიმობს ის ხალხი, რომელსაც არანაირი მონაწილეობა არ მიუღია იმაში, რომ ეს ქვეყანა ევროკავშირისკენ მიმავალი გამხდარიყო და უახლოეს მომავალში აუცილებლად წევრიც გახდეს. მე ვგულისხმობ თუნდაც 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს. ყველა ხელისუფლებამ მას შემდეგ (ჯდილობს,



აქვენი ასეთიანე:

**შუქისძიება რუსეთს
ძვირი ღაუჯდება!**

მიჩემალოს ის ფაქტი, თუ რისი დამსახურებაა ეს ამბავი. მე გახლდით ის ადამიანი, რომელმაც მოსკოვში, საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში განცხადებ, რომ ჩვენი ალბრ მოვინადრით ხელს საბჭოთა კავშირის უხალ სამოქალაქო ხელშეკრულებას, ეს იყო ჩვენი ხალხის გადაწყვეტილება, ზვიად გამსახურდიას მეთაურობით, ეს გახლდათ პირველი და გადაწყვეტი ნაბიჯი, რომელი ბარემიც დღეს არაფერი იქნებოდა.

— „რუსთავი-2“-ის ეთერში რამდენიმე დღის წინათ კადრები ვიხილეთ, სადაც თანამშრომლებზე წილების გადანაწილება მიმდინარეობდა, როგორ შეაფასებთ ამას?

– მახვილგონიერი ხრიკია. რამდენად ნორმალური და სამართლებრივია, ეს არ ვიცი, ადვოკატი არ ვარ და ვერ შევძლებ ამის განსჯას, მაგრამ, თუ ვიმსჯელებთ ხელისუფლების რეაქციით, უფრო სწორად, მისი უქონლობით და დაბნეულობით, უნდა ვაღიაროთ, რომ **ვინც ამ მოიფიქრა (დაახლოებით ნარმოშიდგანია, ვინც მოიფიქრა) და ვინც უპარანახვად „რუსთაში-2“-ს ამახს**, საკმაოდ მახვილგონიერი ხრიკი მოიფიქრა. ხელისუფლება საერთოდ არ ლაპარაკობს ამ საკითხზე. ერთი თქვეს, ქონებრივ დავაში უნდა გადაიყვანოთ და ამათ მაშინვე ამ ოინით უპასუხეს. ასეთი ოინბაზები არიან...

– ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონში 9

პარილს ტარდება რეფერენდუმი, რომლის მიხედვითაც სამხრეთ ოსეთს უნდა ეწოდოს სახელმწიფო აღანია, როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს?

ყველაფერზეა ლაპარაკი, გარდა ამ ფაქტისა, არ ყოფილა არანაირი რეაგირება, გარდა საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებისა. არ უფერქირათ არც აფხაზეთზე, იქაც არჩევნებია, თუმცა სხვა ტიპის. შეერთებულ საუბრეში პრო-რუსულ ძალებს ძალიან გაუმწიღდებათ, სხვათაშორის, ეს შანსია ჩვენთვის.

საერთოდ, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ დამოუკიდებლობისთვის ხალხის გმირული ბრძოლა იქნას დაწინაყებული, საერთოდ დაწინაყებულ იქნას, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებული აქვს. არ ვთვლი, რომ ეს ბოროტებით მოხდით, უბრალოდ, ეს არის იმ ხალხის პოზიცია, რომელიც აქამდე სოროში იყო შეშფრთვნილი და ახლა ცდილობს, ამის ნაყოფი მოიგვას.

— რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა თანხმობა მისცა, რომ სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმის სამხედრო ქვედანაყოფები რუსეთის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყვნენ. რა შეიძლება შეცვალოს ამან საქართველოსა და რუსეთის, ან საქართველო და ოკუპირებული ტერიტორიების ურთიერთობაში?

– რა ჯარები და რა სამხედრო დაქვემდებარება უნდა ჰქონდეთ ან აფხა-

ზებს, ან ცხინვალს... ეს არის პასუხი ევროპისკენ ჩვენს სწრაფვაზე. იმის ნაცვლად, რომ თვითონ რუსებს გადმოედგათ ნაბიჯები, ევროპისთვის გაენიათ კონკურენცია, თუნდაც იმავე ვიზების ლიბერალიზაციის თვალსაზრისით, რომ აღარაფერი ვთქვათ უვიზო რეჟიმზე, პირიქით, ისინი ასე მსჯელობენ, მიუდისხართ ევროპისკენ, შემოდის NATO – და მართლაც ნელ-ნელა მოცოცავს NATO ჩვენკენ, – მაშინ ჩვენ ჩამოგატყრის ტერიტორიას სამუდამოდ.

მე არ ვარ იმის მომხრე, რომ სასწრაფოდ დაიშალოს რუსეთი, ისევე როგორც თურქეთი, მაგრამ იმდენს იზამენ, რომ... მასხედება 1990-91 წლები, ჩვენ რომ დამოუკიდებლობა ღიად და ოფიციალურად გამოვაცხადეთ, იყო ლაპარაკი, რომ დავიკარგებოდით, ვერ ვიარსებებდით და ისევ რუსეთთან მივევროთხდებოდით. არსად არ მივევროთხებულვართ. როდესაც ამხელა სახელმწიფო წვრილმანი შურისძიებებითაა დაკავებული, ძირად დაუჯდება მას, ისევე ძირად დაუჯდება, როგორც საბჭოეთს, რომელსაც მისტირია და დღემდე ვერ გაუგიათ, რატომ დაიშალა. ის დაიშალა უსამართლობის გამო. ძალიან ვწუხვარ, მაგრამ დაბეჯითებით შემოიძლიათქვია, ისე იქცევიან რუსები, რომ რუსეთის დაშლასაც მოგვასრებენ! რაც 10-20 წლის განმავლობაში საქართველოსთვის დიდად სასურველი არ არის, რადგან ჩვენ ჩვენი პრობლემები გვეყოფა და ეს უფრო მეტ პრობლემას შეგვიქმნის.

— როგორ შეაფასებთ პრეზიდენტის კამპანიას „კონსტიტუცია ყველასია“?

— საერთოდ, უნდა ვაღიაროთ, რომ მარგველაშვილი სწორად მოქმედებს, იგი ძალიან ღირსეულად წარმოადგენს ხოლომე ჩვენს ქვეყანას.

რაც შეეხება კამპანიას „კონსტიტუცია ყველასია“, ეს არის მისი საარჩევნო კამპანია, რისი უფლებაც აქვს და მან ამის ძალიან კარგი ფორმა მოძებნა. თავისთავად სასარგებლოცაა, ხალხს რაც უფრო მეტი წარმოდგენა ექნება კანონებთან დაკავშირებით, უკეთესია. პრეზიდენტს, შეიძლება, ძალაუფლება არ აქვს, მაგრამ მისი პოსტი ინტერესს იწვევს. იგი აშკარად აპირებს, იყაროს კიდევ ერთხელ კენჭი. ცოტა პრინციპებს ღალატობს, რადგან როგორც კი თქვეს, რომ პირდაპირ მოგვიჩვენოს კრეზიდენტის არჩევა, რადგან არსებობს ერთი არგუმენტი, რომელსაც ვერ მოერევიან — პარლამენტი არ არჩეულა იმ უფლებამოსილებით, რომ პრეზიდენტი აირჩიოს, „რატომღაც მარგველაშვილი ამით დასაყოფილდა, რადგან ეს პირადად მას ეხება.

ესაუბრა
სალომე უერთაშვილი

**შენევაში საერთაშორისო
მოღვაწეობებზე
რუსეთის პროვოკაციულ
ქმედებებზე ისაუბრეს**

საძარტველს სელისუფლების წარმომადგენლებმა
 ჟენევაში საერთაშორისო მოლაპარაკებების თანათამჯე-
 დომარეებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე
 არსებული ვითარება გააცნეს და რუსეთის პროვოკაციულ
 ქმედებებზე მიაწოდეს ინ-
 ფორმაცია.



რუსეთის შეიარაღებაზე. თანათავაძღვლომარეებს მიეწოდათ ინფორმაცია აფხაზეთის საოკუპაციო ხაზზე. ე.წ. გადასასვლელი პუნქტების დახურვის თაობაზეც.

**საქართველოს საელჩოებში
სისტემით გელარუსები
დაინტეგრირდნენ**

იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
ალექსანდრე ბარამიძე ბელარუსის იუსტიციის მინისტრის
მოადგილეს შეხვდა. ღონისძიებას ესწრებოდნენ იუსტიცი-



ის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელი იოსებ ბაღათურია და ბელარუსის იუსტიციის სამინისტროს იძულებითი აღსრულების სამმართველოს წარმომადგენლები.

ალექსანდრე ბარამიძე ანდრეი ავდევეს ის რეფორმები გააცნო, რომლებიც საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ აღსრულების სფეროს მონესრულებისა და აღსრულების მექანიზმის დასახვეწად განახორციელა. კერძოდ, საუბარი შეეხო აღსრულების სისტემის ორგანიზაციას, სააღსრულებო კანონმდებლობის სრულყოფას, კერძო აღმასრულებლების ინსტიტუტს და სხვ. საქართველოს სააღსრულებო სისტემით ბელარუსი 2016 წლის მაისში დაინტერესდა. საქართველოში ვიზიტის ფარგლებში, ბელარუსის იუსტიციის მინისტრს აღსრულების ეროვნულმა ბიურომაც უმასპინძლა და უწყების მუშაობის სპეციფიკა გააცნო. ქართული გამოცდილების უკეთ შესწავლის მიზნით ბელარუსმა კოლეგებმა ჟურნალის აღმასრულებლები მინსკში მიიწვიეს. გაიმართა სამუშაო შეხვედრები ბელარუსის იუსტიციის სამინისტროსა და სააღსრულებო ინსტიტუტების მაღალი რგოლის მენეჯმენტის წარმომადგენლებთან.

ბელარუსის დელეგაციის ვიზიტის მიზანი საქართველოს სააღსრულებო სისტემის მუშაობის უკეთეს გაგნობა და აღსრულების მიმართულებით დაგრო-

ვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებაა, მათ შორის, აღსრულებაში IT გადაწყვეტიებისა და კერძო აღმასრულებლის მუშაობის შესახებ.

ბინები აკრედიტაციისთვის

ბათუმის მერიაში სტიქიის შემსწავლელი ადგილობრივი კომისიის სხდომა გაიმართა. საინფორმაციო ხასიათის შეხვედრას ვიცე-მერი ბაგრატ მაწველიძე, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს სტიქიის დამაზარალებელთა საქმეების დეპარტამენტის უფროსი დალი ქიქავა, დემოკრატიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი არჩილ ხახუტიაშვილი და ადმინისტრაციული ერთეულებში მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრაზე ქ. ბათუმში დასრულებულ 58-ბინი-
ან სოციალურ სახლში ფართების განაწილებასთან და-
კავშირებული პროცედურების თაობაზე და კრიტი-
კული შეხედულებები ისაუბრეს.

ბათუმის მერიაში ეკომგრანტი ოჯახებისთვის აღ-
ლადაშენებულ სოციალურ სახლში ბინების განაწი-
ლების მიზნით განაცხადების მიღება მმდინარეობს
ბათუმის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე დაზარა-
ლებული და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რე-
გისტრირებული ბენეფიციარებისგან. განაცხადების
მიღება გაგრძელდება 20 აპრილის ჩათვლით.




ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში დღე არ გასულა ისე, რომ ქვეყანაში განვითარებულ უცნაურ მოვლენებს ხალხი არ დაეთრგუნა. გაურკვევლობა და სიბნელე, სიბნელე, რომლითაც ბევრმა ისარგებლა ადრე და ახლაც არ აკლებენ ხელს. იყო დრო, როდესაც მხდალი და ქვეყნის დამაქცევარი გმირად წარმოაჩინეს, სიკვდილის შემდეგ კი კელაპტრები აუნთეს და თავდადებულ პირთა გვერდით მიუჩინეს განსასვენებელი. და პირიქით, გმირები საპატიმროებში გამოამწყვდიეს.

რას იზამ, ვერც ერთი და ვერც ასი კაცი ვერ აღუდგება წინ უსამართლობას, რომელიც ზედა ეშელონებში (და არა მხოლოდ იქ!), თანამდებობით გაკერპებულთა ფენებში იღებს სათავეს, ძნელია, რომ მას გაუმკლავდე. თუმცა გენიალურმა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ ერთ სუსტ ქალს შეაძლებინა და საფლავშიც კი არ დააყენებინა სიცოცხლეში ბევრი უკეთური საქმის გამკეთებელი ვარლამ არავიძე. დიას, მხატვრული სიტყვითა და ხელოვნებით შეიძლება შავ ძალაზე ჯავრი ამოიყარო, მაგრამ ცხოვრებაში უძნელესია მასთან ბრძოლა. ხალხი ბრძენი იტყვიან, თუმცა, იგივე ხალხი ხშირად ბრბოდ იქცევა და სიკეთეს ურცხვად დაუპირისპირდება, ყოფილა ასეთი ეპიზოდები არა მარტო მხატვრულ ძეგლებში ასახული, არამედ რეალურ ცხოვრებაშიც. ასეა ახლაც, ორად გაიყო ქართული აზროვნების სამყარო, ორივე მხარე დასაყრდნობად ხალხს იშველიებს: ხალხი ყველაფერს ხედავს და გრძნობს, მაგრამ, ვინც მართლაც ნათლად გრძნობს ყოველივეს, სამწუხაროდ, ცოტანი დარჩენილან, ქვეყნის ბედს ტკივილით განიცდიან და რა ქნან, სად ექებონ სიმაართლე და ვის შემკლადონ უსამართლობა! სასამართლოსო, — გაიფიქრებს კაცი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ დაინმინდა, სანდო ვერ გახდა ჩვენი სასამართლო, ქართული სამართლის განაჩენს და დასკვნებს ვერ ენდობი... ერთმანეთში აურიეს ტყუილი და მართალი. და აი, ასე მიდის ჩვენი ცხოვრება... და განა მიდის? წინ მორევი და განსაცდელია. მორალს და პატიოსნებას ცეცხლი უკიდია და ვითომ მისი ჩაქრობის მცდელობაში კიდევ უფრო დიდი ხანძარი ჩაღდება!

დღე არ გაივლის ისე, რომ ახალი კოცონი არ აბრიალდეს. ხან ტელევიზია „რუსთავი-2“-ის „სკანდალებში“ ააყირავა ჩვენი ცხოვრება, ხან ვინ და ხან რამ!.. კერძო საკუთრებას ედავებიან ერთმანეთს თუ გადაცემების შინაარსისა და პოლიტიკის პრინციპებს? ამ ომში ჩართული ადამიანების საეჭყო რეპუტაცია ხალხს კიდევ უფრო აბნევს. ზოგი სიცილით კვდება, გვარამია სიტყვის თავისუფლებისთვის „იბრძვის“. ხა, ხა, ხაო!.. თუმცა, ეს ყველაფერი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს... სიტყვის თავისუფლება იქ არის, სადაც ადამიანი თავისუფალია. „რუსთავი-2“-ში მომსახურე პერსონალი თავისუფალია? თავისუფალი მაშინ არის მედია, როდესაც იქიდან მხოლოდ მთავრობისადმი ცილისმამბებლური და ბოლმით საესე სიტყვები კი არ ისმის, არამედ ობიექტური კრიტიკა ყველას მიმართ. ყველა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიმართ. „რუსთავი-2“-მა შექმნა დიდი ორგანიზებული მანქანა, რომელიც უწყ-

გაუმონარი რამ გვჭირს დღეს ქართველებს!..

უსამართლობა დღის სინათლეს ვერსად წაუშა!..



ვეტ რეჟიმში, მიზანდასახულად ამცირებს, აკნინებს, ლანძღავს მთავრობას, რათა ჩაუნერგოს ხალხს ხელისუფლების სიძულვილი და აამხედროს იგი მის წინააღმდეგ. დიას, ნამდვილად, აშკარად ებრძვის მთავრობას, წარმოგვიდგენს ვითომ იუმორისტულ, ცინიზმით სავსე სანახაობებში მის სიბრყვეს, უვიცობას, უნიათობას... ყველა ჟურნალისტურ ხერხს და მეთოდს იყენებს იმისთვის, რომ მიიზიდოს მაყურებელი, მერე ნელ-ნელა მოშალოს და მონამლოს მისი ცნობიერება.

არ შეიძლება არ ითქვას ისიც, თუ როგორ, განსაკუთრებულად ჰყავს ამოჩემებული ერთი ადამიანი, რომლის მილიარდებს და მოთმენის ნიჭს თავგზა აუბნევია ამ მედიის ორგანიზატორებისთვის... არადა, ამ ადამიანის მიერ საქართველოში გაკეთებულ კეთილ საქმეებს თუ გადავხედავთ (არსებობს წიგნი, სადაც ჩამოთვლილია, თუ რამდენი შესანიშნავი შენობით, ეკლესია-მონასტრებით თუ ტყე-პარკით დაამშვენა მან ქალაქი და სხვა ადგილებიც... და ყველაფერი ქართველი ხალხისთვის!), არა მგონია, ეს კაცი ვინმეს სალანძღავი იყოს, თუმცა ისიც გვესმის, რომ ადამიანი ცოდვილი არსებაა, იგი ღმერთი როდია და შეცდომა უთუოდ მასაც მოსდის, კრიტიკა სანყენი ჟანრი კი არა, აუცილებელია და ქვეყნისთვის და ადამიანებისთვის ერთნაირად სასარგებლო. მთავრობა როგორც არ უნდა იყოს იგი, არის უდიდესი ძალაუფლების მქონე ორგანო, რომლის რეგულირებაზეც სწორედ რომ მედიამ, საზოგადოებასთან ერთად უნდა იზრუნოს მართალი სიტყვის ძალით. „რუსთავი-2“-ის მიერ „გაკეთებული“ გადაცემები,

იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ არის არც მართალი და არც ჯანსაღი... საინტერესოა ამ ტელევიზიაში მომუშავე ჟურნალისტების ხედვა. მართლა ჰგონიათ მათ, რომ აღნიშნული ტელევიზია ერთადერთი დემოკრატიული და ევროპულია საქართველოში? განა ასეთი განცხადებით შეურაცყოფას არ აყენებენ ციფერი სამყაროს (ეკრანის) სხვა ჟურნალისტებს (სხვა მედიებს)?

ბევრი ჩვენგანი კარგად გრძნობს თუ რისთვის იბრძვის „რუსთავი-2“-ის ამჟამინდელი გენერალური დირექტორი, ამბობენ თანამდებობის შენარჩუნებისთვის და არა თავისუფალი სიტყვისთვის. არც ის სჯერათ, სამშობლოს სიყვარული და ავტორიტეტი აწუხებდეს, ან იმაზე ფიქრი სტანჯავდეს, დაადგა თუ არა ქვეყანა ევროპულ და დემოკრატიულ გზასო. განა საკითხავი არ არის, ერთი ჯგუფის, ერთი პარტიის ჯიბის მსახური თავისუფალი სიტყვის ჯარისკაცობას როგორ შეძლებს! თავისუფალი სიტყვა ერთი პარტიის კუთვნილება როდია, მართლაც მიკვირს იმ ადამიანებისა, სხენებული ტელევიზია დემოკრატიისა და თავისუფალი სიტყვის მეზაირახტრე რომ ჰგონიათ. თუ მართლაც ასეა, შენმა საკუთარმა ხალხმა უნდა დაგიმტკიცოს ყოველივე ეს და არა სხვა ქვეყანაში არსებულმა ინსტანციამ!..

ერთი რამ კი მტკიცედ მნამს: მიინდა, მართალი სიტყვა ისმოდეს ყველა სახის მედიიდან, ისმოდეს კრიტიკა ადრესატის სწორ და კეთილ გზაზე დასაყენებლად და არა ხალხის ასაბუნებლად.

მართალი სიტყვა, მართალი საქართველო, წესრიგი, კანონიერება და მშვიდობა მიინდა! დღეს კი რა ხდება. ერთი „გა-

ჯანჯლებული“ საქმით შეწუხებულ ქვეყანას მეორე, კიდევ უფრო უცნაური და შემაშფოთებელი ამბავი ატყდება თავს. ეს ამბავი არ არის მხოლოდ შემაშფოთებელი. ჩვენი, ქართველი ხალხის რწმენასა და ჩვენი მორალის რყევაზეა საუბარი! თუმცა, რა გასაკვირია თუ რელიგიის მსახურთაც ის დაავადება მოედო, რაც ქვეყანაშია, ხალხშია გავრცელებული.

მიუხედავად იმისა, რომ რელიგიის ისტორია უამრავ შემადრწუნებელ ამბავს მოიცავს, ხალხი მაინც შეზარა მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელოვანი პერსონისადმი კრიმინალურმა ბრალდებამ. ნეტავ მხოლოდ ბრალდება იყოს. სავალალო ის არის, რომ არ ვიცით, რა ხდება. თუ რაღაც სერიოზული არ არის, ვის დასჭირდა სასულიერო პირის დაკავება და ქართული ეკლესიის ღირსების შებლაღვა! მაგრამ ხომ უნდა ვიცოდეთ, რა მოხდა. არ ვიცით! ერთ მშვენიერ დღეს გავილვიძეთ და მოვისმინეთ, ამ ინფორმაციით თავადაც აღელვებული პრემიერ-მინისტრის განცხადება... ყველამ ვიცით, ამ განცხადების შინაარსი. მას შემდეგ ერთი თვე გავიდა... დღემდე გაუგებრობაში ვართ. ბრალმდებელი რომ ერთს ლაპარაკობს, ბრალდებულის ადვოკატი სულ სხვა შინაარსის ინფორმაციას გვაცნავს. ახლა მედიას არ იკითხავთ? ინერგება ერთმანეთის გამომრიცხავი შინაარსის, მკითხველების თავგზის ამბნევი წერილები. რასაკვირველია, ხალხს აინტერესებს საკუთარი ქვეყნის ცხოვრების ამბავი, პრესა და ტელევიზიაც თანმიმდევრობით უნდა გავწოდებდეს და განიხილავდეს ახალ ინფორმაციებს, მაგრამ... მუდამ უნდა გვახსოვდეს რომ უმთავრესია სამშობლო!

გავაშუქოთ, ინფორმაციები, უბედური თუ ბენიერი შემთხვევები, მაგრამ არ უნდა დაგვაგინყდეს სახელმწიფოს, შენი სამშობლოს საშინაო თუ საგარეო, პოლიტიკური თუ სოციალური ვითარება. რამდენი მტერი მოგვჩერებია, ექებს და იკვლევს ჩვენს სუსტ წერტილებს, ხომ ვიცით რატომაც. ქართველების ერთი ნაწილის აღმა ხნულს, მეორე ნაწილი დაღმა ვფარცხავთ! ამასობაში ჩვენი „ძმები“ უსიამოვნოდ და უნამუსოდ თავიანთ სახელმწიფოს აკონინებენ ჩვენი მამაპაპის სისხლით მორწყულ და ძვლებით გაპოხიერებულ, უძველეს მიწაზე.

და კიდევ ერთი „ფათერაკი“! რას ნიშნავს ბათუმის გამოსვლები, რას აღუტყინებია ჩვენი ახალგაზრდები (თითქმის ბავშვები!) რატომ და რისთვის ანგრევდნენ საკუთარ ქალაქს... და რაც მთავარია, — ამ ბოროტ და ცუდ საქმეში რამ და ვინ გააერთიანა ისინი!

ასეთი ამბების შემდეგ მიხვალ ლოგიკურ დასკვნამდე: კარგი რამ გვჭირდეს გვიკვირდეს, ავი რა საკვირველია!.. და მაინც გვიკვირს: დღევანდელ საქართველოში მთავრობა, პარლამენტი და პრეზიდენტი — ერთად, ერთი გონით, სულით და გულით, ერთიანი პოლიტიკით რომ არ მართავს ქვეყანას, აი, ეს ხომ არ არის ყოველივე ცუდის სათავე?

გულნარა სტურუა



აჭარა ტურისტული სეზონისთვის ემზადება

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მენეჯმენტი ზაფხულის ტურისტული სეზონისთვის მომზადების მიზნით მუნიციპალიტეტებში გასვლებს იწყებს. ამჯერად, დეპარტამენტი კურორტ „გოდერძიზე“ არსებულ ვითარებას და დაგეგმილ პროექტებს ადგილზე გაეცნო.

აღნიშნულ შეხვედრებზე კურორტსა და ზოგადად, ხულოს მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები და მათი მოგვარების გზები განიხილეს. გარდა ამისა, ისაუბრეს იმ ახალ ტურისტულ მარშრუტებზე, რომელთა მარკირებასა და დამუშავებას ტურისტული პროდუქტების სააგენტო ხულოს მუნიციპალიტეტში გაეგმავს. 2017 წლისთვის სააგენტოს გეგმაში აქვს შემდეგი ტურისტული მარშრუტის მარკირება — ხულოდანისპარაული- გოდერძი- მწვანე ტბა — ბეშუმში.

კურორტ გოდერძის მენეჯერებთან ზურაბ ჭურკვეიძესთან და ზვიად ემირიძესთან საუბრისას განსაკუთრებული ყურადღება კურორ-



ტზე სათავგადასავლო, საცხენოსნო და საველოსიპედო მარშრუტების შექმნის და ზაფხულის პერიოდში გოდერძიზე სხვადასხვა ლონისძიების ორგანიზების აუცილებლობაზე გამახვილდა, რაც ზაფხულში კურორტის დატვირთვას შეუნყოფს ხელს. კურორტ „გოდერძი“-ს დირექტორმა ზურაბ ჭურკვეიძემ გოდერძის მიმდებარე არსებული საოჯახო-სასტუმრო სახლების მეპატრონეებისთვის ტრენინგებისა და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების ჩატარების სურვილი გამოთქვა. ამ კუთხით, აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი „ტურიზმის განვითარების სკოლა“-ს ფარგლებში გეგმავს ტრენინგებს და საოჯახო სახლების მეპატრონეებს გააცნობს სერვისის თანამედროვე სტანდარტებს.

2018-2019 წლიდან კურორტზე ორი მაღალი კლასის სასტუმრო „ალიანს რეზორტი“ და „იფორია სქი თაუერი“ გაიხსნება. სასტუმრო კომპლექსების მშენებლობის პარალელურად დასრულდება კურორტამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.


„საპარტოვლო NATO-ს ხუთოსანი მოსწავლე“, - ხშირად ასე აფასებენ საქართველოს კონტრიბუციას ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიმართ და თბილისის მიერ თავდაცვის სფეროში გატარებულ რეფორმებს. უკრაინაში რუსეთის შეჭრის და ყირიმის ანექსიის შემდეგ, ალიანსის შიგნით თავდაცვისუნარიანობის შესახებ დებატები განახლდა. ამერიკის ხელისუფლებაში დონალდ ტრამპის მოსვლასთან ერთად, ჯერ-ჯერობით უცნობია, თუ როგორი იქნება ამერიკის როლი ევრო-ატლანტიკური უსაფრთხოების დაცვაში. პრეზიდენტმა ტრამპმა, წინასაარჩევნო კამპანიის განმავლობაში ალიანსს „მოძველებული“ უწოდა და ცოტა ხნის წინ, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ის ევროპული პარტნიორებისგან მოელის ალიანსში ფინანსური კონტრიბუციის გაზრდას.

მიუხედავად ალიანსის მიმართ არსებული კრიტიკისა, რომ მან დაკარგა თავისი თავდაპირველი მიზანი, ნატო გლობალური უსაფრთხოების დამცველია და ცივი ომის დასრულების შემდეგ გვევლინება, როგორც ეფექტური საერთაშორისო მოთამაშე. დღეისათვის, საქართველო NATO-ს სანვრითელ ცენტრს მასპინძლობს და განაგრძობს ყოველწლიური გეგმის შესრულებას. ალიანსმა, ვარშავის 2016 წლის სამიტზე კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ 2008 წლის ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებით, რომ „საქართველო გახდება ალიანსის წევრი“ - ძალაშია. თუმცა, უკანასკნელ რამდენიმე წელს, საქართველოსა და NATO-ს შორის გარდამტეხი ცვლილებები არ მოუტანია.

„NATO-ში განვყვანიან კუთხით, საქართველომ საკუთარი არჩევანი გააკეთა. კითხვა მდგომარეობს იმაში, დასავლეთი გააკეთებს თუ არა არჩევანს. მე ვფიქრობ, ბევრი რამე დამოკიდებულია ამერიკის ადმინისტრაციაზე და ვაშინგტონის პოზიციაზე... ვფიქრობ, ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ ეს საკითხი გვერდით გადადო და არ სურდა ამის წინ წაწევა. თუ ახალი ადმინისტრაცია სერიოზულად უდგება ევროპის დაცვას და საკუთარ თავდაცვას, სამხრეთ კავკასია ამის კრიტიკული ნაწილია. ევროპის თავდაცვის ხაზი გადის ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან ბალკანეთსა და სამხრეთ კავკასიაზე, ეს ერთიან ჭრილში უნდა განიხილებოდეს. ჩვენ თუ ასე არ შევხედავთ საკითხს, ჩვენი გადაწყვეტილებები არ იქნება ერთიანი“, - ამბობს მარგარიტა ასენოვა, „ჯეიმს-თაუნის“ ფონდიდან, ვაშინგტონში ფონდის მიერ გამართულ კონფერენციაზე, რომელიც ამერიკას, რუსეთსა და რეგიონულ უსაფრთხოებას შეეხებოდა.

2008 წელს ჩატარებული პლენისიტით, საქართველოს მოსახლეობის 73 პროცენტმა მხარი დაუჭირა ალიანსში განევრიანებას. 2016 წლის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლევის მონაცემებით კი (დეკემბერი, 2016) საქართველოს მოსახლეობის 61 პროცენტი ემხრობა ამ ორგანიზაციაში წევრობას. საზოგადოების მხარდაჭერის და საქართველოს დასავლური არჩევანის უაღ-

ნატო საქართველოს: „მარტოა, სუთოსანი ხარ, მაგრამ მოიცადა, ახლა პრობლემის დაბრუნება არ გვსურს“



ტერნატივობის გათვალისწინებით, რუსეთის საქართველოს წინააღმდეგ პოლიტიკური ბერკეტები არ გააჩნია. თუმცა, ის ცდილობს ზეწოლის განხორციელებას სხვა მეთოდებით, მათ შორის პრო-რუსული ჯგუფების დაფინანსებით, ეკონომიკური მანიპულაციით და დეზინფორმაციის გავრცელებით.

„რუსეთს საქართველოზე აღარ აქვს პოლიტიკური ზეწოლის საშუალება. თუმცა აქვს სამხედრო ბერკეტები, ის საქართველოს სამხედრო ვაკუუმში ამყოფებს, იმ სიტუაციაში, როდესაც საქართველოს არა აქვს თავის დაცვის საშუალება. რუსეთის ასევე აქვს სხვა ტიპის ბერკეტები, როგორიცაა პრო-რუსული ორგანიზაციები საქართველოს შიგნით, პრო-რუსული ლობი, რომელსაც მოსკოვი უხდის ფულს, მათი ნაწილი ცდილობს საქართველოს ეროვნული იდენტობით მანიპულაციას და აცხადებს, რომ ის დასავლურ ღირებულებებთან არათავსებადია. ეს კულტურული ბერკეტის ფორმაა. რუსეთის ასევე აქვს სავაჭრო ბერკეტები იმ კუთხით, რომ მას შეუძლია, გაუხსნას ბაზარი ქართულ პროდუქციას, რაც ჩემი აზრით, მახეა“, - აცხადებს ვლადიმერ სოკორი, „ჯეიმს-თაუნის“ ფონდის უფროსი მკვლევარი.

იმ ვითარებაში, როდესაც აშშ-ის ადმინისტრაციის პოლიტიკა ჯერ ისევ ბუნდოვანია, რუსეთი აგრძელებს რეგიონში საკუთარი ინტერესების შესაბამისად მოქმედებას. ცოტა ხნის წინათ მოსკოვმა ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის ჯარების საკუთარ ჯარებში ინკორპორაცია მოახდინა და აფხაზეთში S-300 ტიპის სარაკეტო სისტემა განა-

თავსა. ვაშინგტონში ექსპერტების ნაწილი კრემლის ამ ნაბიჯს დე ფაქტო ანექსიად აფასებს და აცხადებს, რომ საჭიროა, ვაშინგტონმა მკაცრად უპასუხოს რუსეთის მსგავს ქმედებებს.

„რუსეთი საქართველოსთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს. ენ. სამხრეთ ოსეთის სამხედრო დაჯგუფებების რუსეთის სარდლობაში ინტეგრაცია, ჩემი აზრით, ანექსირებას უდრის. არმიის ანექსირებით ტერიტორიის ანექსიაც ხდება. საქართველოს შემოღობვა გასაგებია. დასავლეთში ეს პროცესი უფრო კარგად უნდა ესმოდეო და უფრო მეტ მხარდაჭერას უნდა აჩვენებდნენ, ვინაიდან ჩვენ ხელიდან ვუშვებთ შესაძლებლობას, რომ რუსეთი გავაფრთხილოთ, ჩავერთოთ და შევაჩეროთ ეს პროცესი“, - ამბობს მარგარიტა ასენოვა.

რუსეთის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მიზანი, ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის თავდაცვისუნარიანობის შერყევა და მისი ერთიანობის ძირის გამოთხრება. მოსკოვი NATO-ს საზღვარზე პომპეზურ სამხედრო წვრთნებს რეგულარულად ატარებს, პროვოკაციულად არღვევს მოკავშირეთა საჰაერო სივრცეს და გამუდმებით უმეორებს ევროპელ პარტნიორებს, რომ საქართველოს და უკრაინის ალიანსში განევრანება კრემლისთვის ნითელი საზიზია. თუმცა, დასავლეთში ფიქრობენ, რომ მესამე ძალას (მოსკოვს) არ უნდა ქონდეს უფლება, ვეტო დაადოს ალიანსის გადანაცვლებას. მათი თქმით, „ლია კარის პოლიტიკის“ ერთგულსა და მომხრეს სო საშუალებაა მოსკოვის რევანშისტული მისწრაფებების შესაკვცადა.

„რუსეთს სურს, იყოს დომინანტური ძალა სამხრეთ კავკასიაში. ის საქართველოს კასტრირებას ცდილობს საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციით და იმის მუქარით, რომ სხვა ნაწილებსაც წაიღებს... საქართველო თავს გრძნობს უფრო და უფრო განეიტრალებულად. ის NATO-სთან ისე ახლოს აღარ არის, როგორც 4 წლის წინათ ან 8 წლის წინათ იყო... ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იქნება დასავლეთის პასუხი რუსეთის მიერ საქართველოს დანაწევრებაზე, ან ვთქვათ, სამხრეთ ოსეთის ჩრდილოეთ კავკასიასთან, ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებაზე“, - ამბობს იანუშ ბუგაისკი, ევროპული პოლიტიკის ანალიზის ცენტრის უფროსი მკვლევარი.

NATO-ს გაფართოების პოლიტიკის მომავალი, დიდწილად, ალიანსის მიმართ ამერიკის პოლიტიკას უკავშირდება ვინაიდან, ალიანსის მთავარი თავდაცვითი ტვირთი ვაშინგტონზეა. დღეს, ალიანსის ერთიანი თავდაცვის 73% ამერიკის შეერთებულ შტატებზე მოდის. ამერიკის ჩართულობის შენარჩუნების იმედს პრეზიდენტ დონალდ ტრამპის თავდაცვის მდივნის არჩევანი ტოვებს. ჯიმ მატისი გამოირჩევა თავდაცვისა და საგარეო პოლიტიკის საკითხების ხისტი ხედვით.

ცივი ომის დასრულებიდან მოყოლებული, NATO განაგრძობს გაფართოებას. ალიანსმა ყოფილი სოციალისტური ბლოკიდან პირველად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მიიღო, ხოლო სულ ცოტა ხნის წინ მონტენეგრო იქნა მიწვეული ბრიუსელის მიერ. საქართველოს NATO-ში განევრანებას, ბარაკ ობამას ადმინისტრაცია ნაკლები ენთუზიაზმით მიუდგა, ვიდრე მისი წინამორბედი, რამაც საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა განაპირობა. როგორი იქნება დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პოზიცია, ეს ჯერ უცნობია. გაფართოებაზე საუბრისას, დღეს, ექსპერტთა ნაწილი თვლის, რომ ალიანსმა უნდა გადახედოს გაფართოების მოდელს და ახალი ალტერნატივა შესთავაზოს ასპირანტ ქვეყნებს.

„NATO-მ უნდა შეცვალოს გაფართოების მოდელი და მიიღოს ახალი მოდელი, რომელიც გააერთიანებს საქართველოსა და უკრაინას, როცა საჭირო არ იქნება NATO-ს ყველა წევრის თანხმობა და ყველა წევრის სამუშაო ჩართულობა, არამედ ეს პროცესი მხოლოდ იმ ქვეყნებს გააერთიანებს, რომლებსაც წევრობის სურვილი ექნებათ. მე ასე ვხედავ NATO-ს გაფართოებას - ქვეყნების ჯგუფის გაერთიანებას ალიანსის შიგნით მათი სურვილის მიხედვით და ამერიკის ლიდერობით“, - განაცხადა ვლადიმერ სოკორმა, „ჯეიმს-თაუნის“ ფონდის მკვლევარმა.

ბრიუსელი იმეორებს, რომ „ლია კარის პოლიტიკის“ შეცვლას ალიანსი არ აპირებს, თუმცა ვაშინგტონში, ამერიკას და ევროპელ პარტნიორებს აფრთხილებენ, რომ ალიანსი არ უნდა აღმოჩნდეს სიტუაციაში, როდესაც მისი კარი „თეორიულად ღია და პრაქტიკულად დახურული“ იქნება.

„Radio Voice of America“ (აშშ)

ავსტრალიაში სტიქიას ებრძვიან

სტიქიას ავსტრალიაში მსხვერპლი მოჰყვა. ძლიერი ქარისა და წვიმის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა. ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ციკლონმა გადაუარა. განსაკუთრებით დაზარალდა ქუის-ლენდის შტატი, სადაც ძლიერმა ქარმა საცხოვრებელ სახლებს სახურავები ახადა, ხეები კი ძირფესვიანად მოგლიჯა. მოსახლეობის უმრავლესობას ამ დრომდე არ მიენიშნება ელექტროენერგია. სინოპტიკოსების განცხადებით, უამინდობა კიდევ რამდენიმე დღე გაგრძელდება. როგორც საგანგებო სიტუაციების სამსახურში აცხადებენ, არსებობს წყალდიდობის რისკიც.



უკრაინაში პოლონეთის საკონსულოს თავს დაესხნენ

უკრაინაში პოლონეთის საკონსულოზე თავდასხმა განხორციელდა. ბიბისის ინფორმაციით, ლუცკში პოლონეთის გენერალური საკონსულოს შენობას ჭურვები ესროლეს. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. შენობის

წინა ფასადი მნიშვნელოვნად დაზიანდა. ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები იმყოფებიან.

მედი ბრაქსიონის ლეკარაშიის სელი მოანარა

ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ბრეკსიტის შესახებ დეკლარაციას ხელი მოაწერა. ადგილობრივი მედიის ცნობით, ამ საკითხზე ოფიციალური განცხადება დღეს გაკეთდება. რამდენიმე საათში ტერეზა მეი პარლამენტში სიტყვით გამოვა. ევროკავშირიდან გასვლის შესახებ ოფიციალური დოკუმენტი ბრიტანეთის ელჩმა ევროსაბჭოს ხელძღვანელს უკვე გადასცა, რაც იმას ნიშნავს, რომ გაერთიანებული სამეფო ლისაბონის ხელშეკრულების 50-ე მუხლის ამოქმედებას დაიწყებს. ამ მუხლის მიხედვით, მხარეებს შეთანხმების მისაღწევად 2-წლიანი ვადა აქვთ.




კუბინი შეიარაღებული პოლკის ზრდის

რუსეთი შეიარაღებული ძალების რაოდენობას ზრდის. შესაბამისი გადანაცვტილება პრეზიდენტმა მიიღო. კრემლის ლიდერის განკარგულებით, 1 ივლისიდან არმიაში მომსახურეთა რაოდენობა მილიონ 903

ათასამდე გაიზრდება. პირველი იანვრის მონაცემებით ეს მაჩვენებელი მილიონ 897 ათასს შეადგენდა.

მაღალ დაბალი რეზონანსის სილა გახდება შესაძლებელი

არაბეთის გაერთიანებულ სამეფოებში რობოტი ჩინოვნიკები იმუშავენ. დუბაის მთავრობამ უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ სახელმწიფო სამსახურში ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტები დაასაქმონ.



შესაბამისი პროექტი Smart-ი ხელოვნური ინტელექტის ლაბორატორიამ (AI) უკვე დააანონსა. პროექტის მიზანი არაბეთის გაერთიანებული სამეფოების მოსახლეობისთვის მდგომარეობის შემსუბუქებაა. როგორც კვლევამ აჩვენა, ხელოვნურმა ინტელექტმა 2025 წლისთვის დღეისათვის არსებული სამუშაო ადგილების 50%-ი შესაძლოა, ჩაანაცვლოს.

მანას კარაჩილიან ლავა იფრქვევა

სიცილიაში მოქმედმა ვულკანმა ისევ გაიღვიძა. ეტნას კრატერიდან ვულკანური ლავა იფრქვევა. ვულკანი ეტნა მარტის დასაწყისში გააქტიურდა. ლოკალური აფეთქებების შედეგად 10-მდე ადამიანი დაშავდა. ეტნას კრატერი სიცილიის კუნძულზე 3328 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ის ევროპაში ყველაზე აქტიურ ვულკანად ითვლება.

ვისია სინაგოგის დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი და როგორ იქცა ეს საკითხი ორ მეზობელ სახელმწიფოს შორის სადავო თვალ



დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის (ან თუნდაც მისი რომელიმე ნაწილის) ისტორიულ-გეოგრაფიული თუ ეთნოკულტურული კუთვნილების საკითხი სამსჯელო და დასასაბუთებელ თემად რომ იქცა, უკვე თავისთავად მეტყველებს, თუ რამდენად მძიმე და სავალალო ვითარებასთან გვაქვს საქმე.

„საქართველოს რესპუბლიკის“ 21 მარტის (№60) ნომერში დაიბეჭდა აზერბაიჯანის გაზეთი „ექოში“ გამოქვეყნებული წერილი: „ვის დარჩება დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსი?“. მასში დავით გარეჯის მონაკვეთზე საქართველო-აზერბაიჯანის სასაზღვრო დავისა და ამ კონტექსტში ორ სახელმწიფოთა შორის არსებულ ურთიერთობებზე საუბრობენ სამხედრო ექსპერტი უზეირ ჯაფაროვი და პოლიტიკური ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ცენტრის ხელმძღვანელი მუბარის აჰმედოღლი.

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანელი რესპონდენტები ამ საკითხზე მსჯელობისას თავს არიდებენ რადიკალურ განცხადებებს, მათი მსჯელობა მოზომილი და კონსტრუქციულია. ისინი გამოთქვამენ პრობლემის მშვიდობიანად, პოლიტიკური დაძაბულობის გარეშე გადაწყვეტის სურვილს, ღიად მიუთითებენ საქართველო-აზერბაიჯანს შორის ჩამოყალიბებულ მეგობრულ-სტრატეგიულ ურთიერთობაზე, ხაზი ესმება სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობას ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში, ასევე ორივე სახელმწიფოს პოზიციების თანხვედრას ტერიტორიული მთლიანობის საკითხში (სსრკ-ს დაშლის შემდეგ ორივე მათგანი ხომ მსგავსი სეპარატისტული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა). ექსპერტები კარგად აცნობიერებენ, რამდენად მნიშვნელოვანია ამგვარი პარტნიორული ურთიერთობა ორივე სახელმწიფოსათვის და მის შესანარჩუნებლად ქართულ მხარეს მოუწოდებენ, ხელი აიღოს აზერბაიჯანის მიმართ ტერიტორიულ პრეტენზიებზე და იმედს გამოთქვამენ, რომ მიმდინარე წელს დაგეგმილი მოლაპარაკებები საზღვრის დემარკაციისათვის, ბოლოს და ბოლოს, შედეგიანად დასრულდება და პრობლემაც მოიხსნება.

სადავო მონაკვეთის აზერბაიჯანის შემადგენლობაში დარჩენის აუცილებლობა, რესპონდენტების მსჯელობის მიხედვით, საბოლოოდ განისაზღვრება სამი ძირითადი დებულებით: 1. ამ ადგილის სტრატეგიული მნიშვნელობა აზერბაიჯანისათვის; 2. იურიდიული (და მორალური) მომენტი; 3. ისტორიული მემკვიდრეობის საკითხი.

აღსანიშნავია, რომ სტატიაში სადავო საზღვრო მონაკვეთზე აზერბაიჯანის უპირატესობის შესახებ მსჯელობა ეფუძნება მხოლოდ ზოგად განცხადებებს, ავტორები თავს არიდებენ ისტორიულ ექსკურსს, მათი საუბარი მოკლებულია კონკრეტულ არგუმენტაციას. ეს გასაგებია: ქეშიშ-დაღის (როგორც აზერბაიჯანში უწოდებენ საქართველოს საზღვარს მიღმა აღმოჩენილ დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილს) ისტორიულად ალბანურ ძეგლად, ანუ აზერბაიჯანის კუთვნილებად გამოცხადების ყოველი ისტორიული დასაბუთების მცდელობისას სხვადასხვა აზერბაიჯანელი ავტორები, გასაგები მიზეზების გამო, მეტად უხერხულ მდგომარეობაში იგდებენ თავს (ზოგიერთ ამგვარ მცდელობას ჩვენს

მიერ უკვე გაცეცა საკადრისი პასუხი). დავიწყით იმით, საიდან იღებს სათავეს ეს სასაზღვრო დავა. ამ საკითხის განხილვა თავისთავად წარმოგვიჩენს, თუ რას გულისხმობენ აზერბაიჯანელი ექსპერტები სადავო მონაკვეთზე აზერბაიჯანის იურიდიულად უფლებრივ უპირატესობაზე.

საბჭოთა რუსეთის მიერ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების დაპყრობის შემდეგ გადაისინჯა ამ რესპუბლიკების გამმიჯნავი საზღვრებიც. საქართველოს სსრ-სა და აზერბაიჯანის სსრ-ს შორის ახალი საზღვრის გავლება ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთზე მოხდა მარტივი ფიზიკურ-გეოგრაფიული და ნაწილობრივ სამეურნეო-ეკონომიკური ფაქტორების მიხედვით ისე, რომ არავითარი ანგარიში არ გაენია ისტორიულ-გეოგრაფიულ და კულტურულ-არქიტექტურულ მემკვიდრეობას. ათეისტურ-ბოლშევიკური ხელისუფლებისათვის არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა სასულიერო ხასიათის ხელოვნების ნიმუშები (არქიტექტურული ძეგლები, ფრესკული მხატვრობა და ა. შ.) და ამა თუ იმ ხალხისათვის უმნიშვნელოვანესი რელიგიური სიმბოლოები. გარდა ამისა, მაშინდელი საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საზღვარი ერთი დიდი საბჭოთა იმპერიის ლამის უბრალო ადმინისტრაციული საზღვრის დონეზე განიხილებოდა. სხვადასხვა ეროვნების „მოძმე მშრომელთა“ მიერ „საერთო-სახალხო“ მიწა-წყლისთვის ცილობა კი დაუშვებელ „ვიწრონაციონალისტურ გამოხდომად“ მიიჩნეოდა. ისტორიული გეოგრაფიის სრული უგულებელყოფის შედეგად კი ისტორიული სამართლიანობის პრინციპი ზოგ შემთხვევაში სრულიად დარღვეული აღმოჩნდა.

ამგვარად, დავით გარეჯის უდიდესი ქართული სამონასტრო კომპლექსის ერთი ნაწილი (მონასტრები: უდაბნო, ბერთუბანი, ნაწილობრივ ჩიჩხიტური) აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში მოექცა. ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვარი გაივლო სამონასტრო კომპლექსის აკნისა და მთავარი მონასტრის „დავითის ლავრის“ თავზე არსებულ მთის თხემზე. შედეგად, „დავითის ლავრა“, რომელიც მთის ჩრდილოეთ ფერდობზე მდებარეობს, საქართველოს მხარეს დარჩა, ხოლო მთის სამხრეთ ფერდზე კლდეში გამოკვეთილი „უდაბნოს მონასტერი“ თავისი უნიკალური ფრესკებით საზღვრიდან რამდენიმე მეტრის იქით აღმოჩნდა, „ბერთუბნის მონასტერი“ კი — საზღვრის გადაღმა 2-3 კმ-ს სიღრმეში. ერთგან პარადოქსული ვითარებაც შეიქმნა: საზღვარმა ზედ „ჩიჩხიტურის მონასტერზე“ გაიარა, ისე რომ, მთის თხემზე მდგარი მონასტრის კოშკი შუაზე გაკვეთა: კოშკის ჩრდილო კედელი — საქართველოს, სამხრეთი კი აზერბაიჯანს „ურგო“.

სწორედ ზემოაღნიშნულ გარემოებებს ეფუძნება აზერბაიჯანის იურიდიული უფლება სამონასტრო კომპლექსის ნაწილზე ქართუ-

ლი მხარე ჯერჯერობით უშედეგოდ ცდილობს მიაღწიოს შეთანხმებას აზერბაიჯანთან ტერიტორიების გაცვლის თაობაზე. თუმცა მხარეებს შორის არსებობს შეთანხმება, რომ ქართველი მომლოცველები და ტურისტები დაუბრკოლებლად შეძლებენ ეწვიონ „საზღვარს იქით“ დარჩენილ მონასტრებს.

დავითის ლავრის თავზე არსებული მთის ქედი, რომელზეც დღეს ფაქტობრივად საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარი გადის, მართლაც სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაღლეა. აქედან ჩრდილოეთით შეიძლება გაკონტროლდეს გარეჯის მრავალმთის მთელი ფართობი, ხოლო სამხრეთით მთა გადაჰყურებს მტკვრის ფართო ველს აზერბაიჯანში. კარგ ამინდში აქედან მხერა უფრო შორს, სომხეთსაც კი წვდება. ამიტომაც სწორედ ამ ქედის თავზე ჩვენს წინაპრებს მონასტერთა დასაყვად აუგიათ ჩიჩხიტურის სათვალთვლო-საყარაულო კოშკიც. ბუნებრივია, ასეთი სტრატეგიული ადგილი აზერბაიჯანს დასაკარგად არ ეთმოება (დღევანდელი ვითარებით, ეს სიმაღლე ერთობლივად კონტროლდება) და ამიტომაც არ თანხმდება საქართველოსთან ტერიტორიულ გაცვლას. თუმცა გასაგები მიზეზების გამო საქართველოსთვის ამ ადგილის მნიშვნელობა, როგორც დავით გარეჯის საზღვრის კომპლექსის შემადგენელი ნაწილისა, განუთქმობდა უფრო დიდი და ძვირფასია, ვიდრე უბრალოდ სტრატეგიული სიმაღლისა და ცხადია, ამ ტერიტორიაზე პრეტენზიის გაცხადებისას მას არანაირი სამხედრო-სტრატეგიული მიზეზები არ ამოძრავებს. საქართველოს საამისოდ უდავოდ სრული ისტორიული, კულტურული და მორალური უფლება გააჩნია.

მიყვავთ თანამიმდევრობით.

გარეჯის მრავალმთის ტერიტორიის ისტორიულ-გეოგრაფიული კუთვნილება

არაბალი, სადაც განლაგებულია გარეჯის სამონასტრო კომპლექსი, ძველთაგანვე სახელდებულია გარეჯის (გარესჯას) მრავალმთად. უძველესი დროიდან მოკიდებული, საქართველოს მიწა-წყალი სხვადასხვა მცირე „ქვეყნებისაგან“ შედგებოდა, რომელთაც თავიანთი ქალაქ-ცენტრები გააჩნდათ (ნ. ბერძენიშვილი). გარეჯის მრავალმთას კი მოიცავდა კუხეთის ქვეყანა, რომლის ცენტრი იყო ქალაქი რუსთავი. კუხეთი განვრცობილი იყო იალნო-საგურამოს ქედსა (ჩრდილოეთით) და მდ. მტკვარს (სამხრეთით) შორის. მტკვარი მას დასავლეთიდანაც მზღვრიდა მდ. არაგვის ქვემო წელთან ერთად. კუხეთს აღმოსავლეთიდან ემიჯნებოდა კამბეჩოვანი, მოგვიანებით ქიზიყად სახელდებული ქვეყანა. ძველ ქართ-

ველ ისტორიკოს ლეონტი მროველთან დადასტურებული უძველესი გადმოცემით, ქართლოსის შვილთაგან კუხოსს ერგო „ბოსტან-ქალაქი, რომელსა ან ჰქვიან რუსთავი“, და ქვეყანა „მთასა კახეთისასა და მტკუარს შუა“.

უძველესი ქართული საისტორიო ტრადიციით, კუხები ქართლოსიანთა უშუალო მოდგმის ტომად მოიაზრებიან. ისევე როგორც კუხეთი — ქართველთა თავდაპირველი განსახლების ერთერთ უპირობო არედ. კუხებს ემეზობლებოდა მეორე ქართული ტომი — კახები (უძველესი ეთნოგრაფიული კახეთი მოიცავდა მდინარე ივრისა და ალაზნის ხეობა და შუა წელს და ჩრდილოეთიდან ეზღინებოდა კუხეთს). ქართლის სახელმწიფოს წარმოქმნისთანავე (ძვ. წ. IV ს.) კუხეთი გარეჯის მრავალმთითურთ მის შემადგენლობაშია. მეფე ფარნავაზმა სამეფოს საერისთავოებად მოწყობისას, კახეთის ერისთავს მისცა ტერიტორია „არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი.“ ამრიგად გარეჯის მრავალმთა ჯერ კიდევ ქრისტიანობამდე იმთავითვე ქართლის (იბერიის) სამეფოში მდებარეობდა, კერძოდ, კახეთის საერისთავოში.

როგორც წყაროთა მონაცემებით დგინ-

დება, ახ. წ. IV ს-ის დასაწყისში კუხეთი კახეთთან ერთად საუფლისწულო მამულად გადაქცეულა: ქართლის მეფე მირიანმა (ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე) „მისცა ძესა მისსა რვეს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასუა იგი უჯარმას.“

IV ს-ის II ნახევრიდან კუხეთი ქართლის სამეფოში ცალკე ერთეულადაც გვევლინება, რომლის ადმინისტრაციული ცენტრი ძველბურად რუსთავია: მირიანის მეშვიდრე ბაქარს სამეფო ტახტზე მისი ძმის, ზემონახსენები რვეის ძენი შესცილებიან. ბაქარმა დამარცხებულ ძმისწულებს კახეთი ჩამოართვა და იმ პირობით, რომ მეფობაზე პრეტენზია აღარ ექნებოდათ, მათ დაუტოვა („მისცა“) „კუხეთი და დასხნა რუსთავს ერისთავად“ (ლეონტი მროველი). ამგვარად, გარეჯის სანახებიც ახალწარმოქმნილი კუხეთის, ანუ რუსთავის საერისთავოს ფარგლებში დარჩა. რუსთავის მეორე სახელწოდება ბოსტან-ქალაქი, რომელიც ვოსტან-ქალაქიდან მომდინარეობს და საუფლისწულო ქალაქს ნიშნავს, შესაძლებელია, ამ მოვლენას უკავშირდებოდეს.

ასეთი ვითარება ჩანს ვახტანგ გორგასლის მეფობის დასაწყისშიც (V ს-ის შუახანები): კუხეთს რუსთავში მსხდომი რვეის შთამომავლები (მირიან და გრიგოლ) განაგებენ. მცირედ მოგვიანებით, ვახტანგისავე ხანაში კახეთ-კუხეთი კვლავ ერთ საერისთავოდ არის წარმოდგენილი. ამავე ხანებიდან კუხეთის ტერიტორია და მათ შორის გარეჯის ნახევარუდაბნოებიც (ამ დროს იქ სამონასტრო ცხოვრება ჯერ კიდევ არ იყო გაჩაღებული) ახლად შექმნილი რუსთავის საეპისკოპოსოს საზღვრებშია.

გარეჯის მიწა-წყალს VI ს-ის მეორე ნახევარში უშუალოდ რუსთავში მჯდომი გამგებელი განაგებს: დავით გარეჯელის ცხოვრებიდან ვიგებთ, რომ გარეჯის უდაბნოში სანადიროდ დადიოდა რუსთაველი დიდებული ბუბაქარი. ამ მიდამოებში რუსთაველი დიდებულის მოქმედებები მას აშკარად ამ მხარის ბატონ-პატრონად გვაგულვებს. აღსანიშნავია, რომ მისივე დახმარებით იწყება კიდევ სატაძრო მშენებლობა გარეჯში.

გარეჯის უდაბნოები ახლადწარმოქმნილ კახეთის სამთავროს (საქორეპისკოპოსოს) შემადგენლობაშია VIII ს-ის ბოლოდან, როცა თბილისის ამირას მორჩილებიდან გამოსულმა მთავარმა გრიგოლმა „დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი... და იწოდა კახთა მთავრად, ანუ ქორიკოზად“ (ვახუშტი).

XI ს-ის I ნახევარში კახეთის მეფე კვირიკე დიდმა ერთერთი ერისთავი დასვა „რუსთავს და მისცა სრულიად კუხეთი, რომელ არს ნაგები, ყარაია, სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი...“. მაშასადამე, დავით გარეჯა სამხრეთიდან მომიჯნავე ყარაიას ველითურთ ისევ რუსთავის საერისთავოშია, რომელიც ძველებურად კუხეთის მიწა-წყალს მოიცავს.

XII ს-ის დამდეგიდან დავით აღმაშენებლის მიერ კახეთის სამეფოს შემოერთებას-

თან ერთად, გარეჯის მრავალმთა გაერთიანებულ საქართველოს სამეფოშია. XI-XV სს-ში გარეჯის მონასტრებს სამეფო მონასტრების სტატუსი ჰქონდათ. მათ მეფის სასარგებლო გარკვეული სამსახური და ვალდებულებანი ეკისრა. „გარეჯელი ძმები“ ოფიციალურად მონაწილეობდნენ სამეფო დარბაზობაში. „გარეჯული ძღვენი“ ნახსენებია XIV ს-ის I ნახევრის ქართულ ძეგლში — „ხელმწიფის კარის გარიგება“. ამ პერიოდში და შემდგომაც გარეჯის მონასტრები არაერთ სოფელსა და მეურნეობას ფლობდნენ, რომლებიც მეტწილად შეწირულობის სახით ეძლეოდათ მეფისა თუ დიდი ფეოდალებისაგან (ასეთი შეწირულობის საბუთები მრავალი მოიპოვება საქართველოს სხვადასხვა საარქივო ფონდებში). ასეთ მამულს „ქვეყანა გარესჯისა“ ან „გარესჯის მამული“ ეწოდებოდა. XV ს-იდან ისინი წყაროებში უკვე „საგარეჯო“-დ იხსენიება (ბ. ლომინაძე). სახელი საგარეჯო შემორჩა დღევანდელ რაიონულ ცენტრს კახეთში, რომლის მუნიციპალიტეტს განეკუთვნება ამჟამად გარეჯის ტერიტორია. ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ოდეს შესწირეს გარეჯის უდაბნოს დაბნები ესე, უწოდეს საგარეჯო“. 1428 წელს საქართველოს მეფე

ლის ცხოვრებაში: წმ. მამამ „აღიჩნია აქა სჯაი გარეჯან უდაბნოთა შინა. ამისთვის ეწოდების უდაბნოსა მას გარესჯაი“. „გარე სჯა“ საერო ცხოვრებისაგან განრიდებით უდაბნოში ბერული თვითგვემის მნიშვნელობითაა ნახმარი: აქ ბერები მკაცრი ასკეტური მოღვაწეობით „გარე ისჯებოდიან ხორციითა“. „გარესჯიდან“ წარმოსდგა წმ. დავითის ზედწოდებაც — გარესჯელი (გარეჯელი).

სამონასტრო კომპლექსის აღმოცენების შესახებაც არაერთი ცნობა მოიპოვება. მის დამაარსებლად სახელდება ერთადერთი პიროვნება — დავით გარეჯელი. ამის საწინააღმდეგო, გამაბათილებელი ან თუნდაც დამაყვანებელი, განსხვავებული ცნობების შემცველი ისტორიული წყარო ჯერ არც არავის უხილავს. მხოლოდ დავით გარეჯელის ცხოვრება რამდენიმე რედაქციით არის ჩვენამდე მოღწეული. მათგან უძველესი X ს-ს განეკუთვნება (უქვეყნო, არსებობდა ამჟამად დაკარგული უფრო ძველი რედაქცია). აქ ყველაზე ფართოდ და თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი გარეჯის სამონასტრო კომპლექსის აღმოცენების ისტორია: წმ. დავითის მოსვლა და დამკვიდრება გარეჯის უდაბნოში თავის მონაფეო ლუკანესთან ერ-

ვებული („ალბანური“) ვერსიის დამადასტურებელი არარსებული წყაროს მოყვანა აზერბაიჯანელ ავტორებს არ ძალუძთ. მათგან ვისმენთ მხოლოდ ყოველგვარ რეალურ საფუძველსა და ისტორიულ წყაროს მონყვეტილ ზეპირ განცხადებებს.

IX ს-ის შუახანებში დავით გარეჯში სამონასტრო ცხოვრების შემდგომი აღორძინება და განვითარება (ძველის გაფართოება) კეთილმოწყობა, ახალი მშენებლობების წამოწყება) უშუალოდ უკავშირდება დიდი საეკლესიო მოღვაწის ილარიონ ქართველის სახელს. მასვე განუახლებია და გაუმშვენებია მონასტრის დამაარსებლის, წმ. დავითის საფარსი. ამის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული წმ. ილარიონის ორ რედაქციად შემონახულ „ცხოვრებაშიც“. ნიშანდობლივია, რომ გარეჯში წმ. ილარიონს მღვდლად აკურთხეს რუსთაველი ეპისკოპოსი, რაც ნიშნავს, რომ იმ დროს ეს მონასტრები ამ უკანასკნელის დაქვემდებარებაში შედიოდა. მოგვიანებით ის უშუალოდ საკათალიკოსო სამწყსოს წარმოადგენდა. XVI-XVIII სს-ში გარეჯის მონასტრებს უმეტესად ნინოწმინდის საეპისკოპოსო განაგებდა, თუმცა დროგამოშვებით ცალკეული მონასტრები ნეკრესელ, ბოდბელ და სამეხელ ეპისკოპოსებს ემორჩილებოდ-

მთისა, რომელშიც ამ უდაბნოს ძვანო-ვანი მონასტრები გამოკვეთილი და ნიშნავს „მღვდლის მთას“. ის სახელი მთას ყარაბაის ველზე (რომელსაც ზაფხულში ცაქარის ეს მთა) მომთაბარე აზერბაიჯანელმა მწყემსებმა შეარქვეს ამ მთის გამოქვაბულზე ქართული სასულიერო პირების მოღვაწეობის გამო.

უდაბნოს მთის თავზე აგებული აღდგომის ეკლესია VIII-IX სს-ით თარიღდება. საკვანძოა, რომ დაახლოებით ამ ხანებიდან იწყება უდაბნოს მონასტრის ჩამოყალიბება, როგორც წმ. დავითის ლავრის განშტოებისა. X-XI სს-ისაა აქ დადასტურებული პირველი ფრესკული მხატვრობა (მათ შორის დავით გარეჯელის ცხოვრების ამსახველი ეპიზოდებით), რომელიც გარეჯული ფერწერული სკოლის გამორჩეული ქმნილებებია. უდაბნოს მთავარი ეკლესიის ასომთავრული საქტიტორო დათარიღებული წარწერა, რომელიც, სხვათა შორის, დავით გარეჯელის გამოსახულებასთანაა ჩასმული, 983 წელს განეკუთვნება.

ცხადია, ყველა ისტორიულ-გეოგრაფიული მონაცემი თუ ისტორიული წყარო, რომელიც კი არსებობს გარეჯის მონასტრის შესახებ, მას ქართულ ეთნოკულტურულ და

რელიგიური სინაიზმი

ალექსანდრე დიდმა გარეჯის მონასტრები მცხეთის საკათალიკოსოს შესწირა.


XV ს-ის II ნახევრიდან, ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ, გარეჯი კვლავ კახეთის სამეფოშია. XVII ს-ის დასაწყისში შაჰაბას I-მა კახეთი კი დაიპყრო, მაგრამ გარეჯი კვლავ ამ დროებით დაპყრობილი კახეთის შემადგენლობაში დარჩა. გარეჯის მონასტრთა ტერიტორია კახეთისაგან არც ამ უმძიმეს ხანაში არ მოწყვეტილა. სხვათა შორის, 1639 წელს შაჰაბასის ჯარისაგან აოხრებული გარეჯის მონასტრები აღადგინა კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა.

ქართლისა და კახეთის გაერთიანების შემდეგ (1762 წ.) გარეჯის მხარეს მთლიანად ქართლ-კახეთის სამეფო მოიცავს. რუსეთის მიერ ამ სამეფოს ანექსიის შემდეგაც მთელი XIX ს-ის მანძილზე გარეჯის მონასტრთა ტერიტორია თბილისის გუბერნიის სილნალის მაზრას განეკუთვნება.

საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დროს გარეჯის უდაბნოები მთლიანად და კიდევ უფრო ვრცელი მიმდებარე ტერიტორია, ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში გახლდათ. ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მიმდებარე ქვემო ყარაღის ველი ჯანდაბარის ტბიდან და ნიქოპოლის ხეობიდან ფოთლოს ხეობამდე, გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ერთი ნაწილითურთ (რომ ალბარა-ფარი პეტრე ზაქარაიას ოლქშია) საბჭოთა კავშირის დროს მიერ 1921 წლის 15 ნოემბერს სრულიად უსაბარტლოდ, ჯერ სამოქრებოთი სარგებლობის უფლებით, სამი წლის შემდეგ კი იურიდიულადაც („ნატურაში განმტკიცებით“) გადაეცა აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკას... (თუმცა კიდევ მოითხოვს დაზუსტებას, რამდენად წარმოადგენდა აღნიშნული ტერიტორია ტერიტორიის საკუთრებაში იურიდიულად გადაცემას).

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ეთნოკულტურული კუთვნილება

„გარეჯის“ („გარე სჯა“) სახელწოდების წარმოშობის გარემოების შესახებაც პირდაპირი მითითება მოიპოვება „დავით გარეჯე-



ქართლისა და კახეთის გაერთიანების შემდეგ (1762 წ.) გარეჯის მხარეს მთლიანად ქართლ-კახეთის სამეფო მოიცავს. რუსეთის მიერ ამ სამეფოს ანექსიის შემდეგაც მთელი XIX ს-ის მანძილზე გარეჯის მონასტრთა ტერიტორია თბილისის გუბერნიის სილნალის მაზრას განეკუთვნება.

თად, სამონასტრო სამოსს გაჩენა და მომრავლება (ალსანიშნავია, რომ წყაროს თანახმად, პირველი მოწვევები კახელები იყვნენ), მათი ცხოვრების წესი, სენაქებისა და წყლის აგებების კლდეში კვეთის ამბავი, პირველი ეკლესიების შექმნა, შემდეგ გარეჯის პირველი საგანის განტოტებების, ენ. ფილიალების შექმნა (უნდა ითქვას, რომ მათგან ორი, დოღორქისა და ნათლისმცემლის მონასტრები წმ. დავითისავე სიკეთესი და მისივე ბრძანებით არის დაარსებული) და ა.შ. დავით გარეჯელიც ერთი იმ ასურელ მამათაგანია, VI ს-ის 30-იან წლებში ქართლის სამეფოში რომ შემოვიდნენ მისიონერული საქმიანობისთვის. ნიშანდობლივია, რომ უკლებლივ ყველა ამ მამათაგანი მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში მკვიდრდება. რაც შეეხება დავით გარეჯელს, უნდა ითქვას ისიც, რომ იგი გარეჯის მრავალმთაში დამკვიდრებამდე, მაშინდელი თბილისის მახლობლად მთაწმინდაზე (მამადავითის მთაზე) მოღვაწეობდა.

და ეს ყველაფერი არის არა უბრალოდ „ქართული ვერსია“, არამედ წყაროთა მონაცემებზე დაფუძნებული ისტორიული რეალობა, ისტორიოგრაფიაში მრავალმხრივად დამუშავებული საკითხი. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, ამისგან რაიმე განსხვავ-

ნენ. ამის დამადასტურებელი ისტორიული საბუთებიც მრავლად მოიძიება, თუმცა „რატომაც“ არ არსებობს არც ერთი დოკუმენტი, ამ მონასტრების ალბანური ეკლესიისადმი კუთვნილებას რომ მიგვითითებდა. არ მოიპოვება არც ერთი ცნობა, რომელიც დაადასტურებდა, რომ გარეჯის რომელიმე მონასტერში ოდესმე ალბანელ სასულიერო პირებს ემოღვაწათ; მით უფრო, ეს მონასტრები რომ ალბანელი მღვდელმთავრების მორჩილებაში იმყოფებოდნენ.

დავით გარეჯას მონასტრებში ჩამოყალიბდა და IX-XIII სს-ში ჰყვავდა ქართული ფრესკული მხატვრობის სპეციფიკური გარეჯული სკოლა. სწორედ აქ არის შემორჩენილი უძველესი ქართული ფრესკები (VIII-IX სს.). გარეჯის მონასტრებში უამრავ ქართულ წარწერათაგან კი უძველესი თარიღიანი წარწერა 851 წლით თარიღდება. გვიან შუასაუკუნეებში განსაკუთრებით განვითარდა გარეჯის ქართული სალიტერატურო სკოლა.


რაც შეეხება აზერბაიჯანულ მხარეს მოქცეულ უდაბნოს მონასტრებს, რომელსაც აზერბაიჯანელი ავტორები „ქვემო დალ“-ად მოიხსენიებენ. უნდა ითქვას, რომ იგი აზერბაიჯანული სახელია იმ სასახლეს (დღევანდელი ვითარებით)

პოლიტიკურ-გეოგრაფიულ სივრცეში მოიხსენიება. გარეჯის მონასტრები — „თორმეტნი უდაბნონი გარესჯისანი“ დღიდან მისი დაარსებისა, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილია და მის გამგებლობაში იმყოფება. ამის დასტურად უამრავი ისტორიული საბუთი და არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა არსებობს.

ასე რომ, დღეს აზერბაიჯანის მიერ კონტროლირებად დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილის აზერბაიჯანის ისტორიულ მემკვიდრეობად გამოცხადება სრული აბსურდია. აქ არსებული ისტორიული ძეგლების აზერბაიჯანში ქრისტიანობის ჩასახვისა და გავრცელების ნიშნად დასახვა ვერანაირი ლოგიკაში ვერ თავსდება. ამდენად, ცხადია, მათ აზერბაიჯანის ისტორიისათვის ვერც ვერავითარი მნიშვნელობა ექნება. დარწმუნებული ვარ, ეს ბევრ ექსპერტსაც მშვენივრად ესმის აზერბაიჯანშიც, მაგრამ სტრატეგიული მნიშვნელობის სიმალღებზე ნაწილობრივი კონტროლის შენარჩუნების სურვილი, აქ ქართული ქრისტიანული ძეგლების არსებობის პირობებში, მათ აიძულებს ამგვარი აბსურდული განცხადებების გაკეთებას. თუმცა მე აზერბაიჯანელ კოლეგებს ვურჩევდი, მიბაძონ ჩვენ მეზობელ და მათთვის ახლობელ თურქეთის მაგალითს, რომელიც ტაო-კლარჯეთში უხვად არსებულ ეკლესია-მონასტრებს უპირობოდ აღიარებს ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლებად და ამას ამ ძეგლებზე გაკეთებულ საცნობარო აბრეშუვადაც ოფიციალურად აღნიშნავს.

საბოლოოდ კი დავძენთ, რომ სამონასტრო კომპლექსი დავით გარეჯა შეუცვლელი ღირებულების მქონე განძია საერთაქართულ ცნობიერებაში; იგია სათაყვანებელი რელიგიური სინაიზმი ქართული სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი საწყისთაგანიც და გვირგვინიც, ქართული მნიშვნელობის მნიშვნელოვანი კერა, თვითმყოფადი გარეჯული ფრესკული ფერწერისა და კლდის არქიტექტურის უნიკალური საფანე. კლდეში ნაკვეთი და კედლის მხატვრობით შექმნილი დავით გარეჯა თვით განვითარებული სულიერი ისტორიაა საქართველოსი.

დავით მერაბილიაძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.



...მიეცით ნებისმიერ ერს დავით გარეჯი და მას ისტორია ექნება! ნიკო პაცხოველი

საქალაქივო საგადასახადო დაგაღიანების ჩამონერის შედეგებს ითვლის

ბასშელ წელს საქართველოს ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ განზრახული აქვს მორიგი საგადასახადო ამნისტია და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო, დღეს კი შედეგების დათვლის დრო დადგა.

საქმე ესება საქართველოს საგადასახადო კოდექსში გასული 2016 წლის მაისში შეტანილ ცვლილებებს: ცვლილების თანახმად, 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის ა) და ბ) ქვეპუნქტები ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა და, შესაბამისად, ჩამონერას დაექვემდებარა:

2011 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილი და ამ ქვეპუნქტის ამოქმედებამდე გადაუხდელი საგადასახადო დავალიანების თანხა, თუ პირს თანხის ჩამონერამდე აქტივობები არ უფიქსირდება, არ წარმოუდგენია საგადასახადო დეკლარაცია-გაანგარიშება (გარდა ქონების გადასახადის დეკლარაციისა) ან საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია-გაანგარიშების საფუძველზე არ აღირიცხება ერთობლივი შემოსავალი;

2013 წლის 1 იანვრამდე წარმოშობილ აღირებულ საგადასახადო დავალიანებაზე დაირიცხული საურავი და 2013 წლის 1 იანვრამდე დაირიცხული აღირებულ დავალიანება, აღირებულ გადასახადის თანხის გადახდის პირობით, თუ პირს თანხის ჩამონერამდე აქტივობები არ უფიქსირდება, არ წარმოუდგენია საგადასახადო დეკლარაცია-გაანგარიშება (გარდა ქონების გადასახადის დეკლარაციისა) ან საგადასახადო ორგანოში წარდგენილი საგადასახადო დეკლარაცია-გაანგარიშების საფუძველზე არ აღირიცხება ერთობლივი შემოსავალი;

საკონტროლო საღარო აპარატის გამოყენების წე-

სების დარღვევისთვის ფიზიკური პირისთვის 2013 წლის 1 იანვრამდე დაკისრებული და ამ ნორმის ამოქმედებამდე გადაუხდელი ჯარიმა.

ამ გადაწყვეტილების შედეგი ამოქმედებიდან, დაახლოებით, 10 თვის თავზე ასე გამოიყურება: საქარ-



თველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების ამოქმედებიდან დღემდე გადასახადის 34 804 გადახდელს საგადასახადო დავალიანება, ჯამში, 1 მილიარდ 492 ათას ლარზე მეტი ჩამოეწერა. ივარაუდება, რომ ეს ისედაც უიმედო ვალები იყო, თორემ 1,4-მილიარდიანი რეალური შემოსავლის დანაკლისი სახელმწიფო ბიუჯეტისთვის რეფორმის განსაკუთრებულ მიღწევად, სავარაუდოდ, ვერ ჩაითვლებოდა, მით უმეტეს, რომ ნებისმიერი ე. წ. ამნის-

ტია, ანუ გადასახადების ჩამონერის პროცესი, თავის თავში ისედაც უსამართლო მიდგომას გულისხმობს კეთილსინდისიერი გადახდელების მიმართ, პრობლემური გადახდელებისთვის შეღავათის განევის ფორმით. შეგახსენებთ, რომ შემოსავლების სამსახური საგადასახადო დავალიანების ჩამონერას ახორციელებს როგორც თავისი ინიციატივით (სსკ-ის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში), ასევე გადახდელის მომართვის შემთხვევაში.

შედარებით ობიექტურად მისაღებია ხოლმე გადაწყვეტილება, როცა იგი საგადასახადო შეღავათს ესება და საყოველთაოა – მაგალითად, ისეთი ტიპის, როგორიცაა გარკვეულ სფეროებში თანხის ჩადება. ამ თვალსაზრისით ბოლო ხანებში გავრცელებული ინფორმაციიდან საინტერესოა ფინანსთა სამინისტროს მიერ გაკეთებული განაცხადი, რომ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგურების მფლობელები ჭარბი ელექტროენერგიის გაყიდვისას საშემოსავლო და მოგების გადასახადს არ გადაიხდიან.

ნიმე ვეგენიძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემეჯი პოლინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ინგა აფხაზავას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ინგა აფხაზავა (პ/ნ 62001002641), სენაკი, დ. ვაჰანიას ქ. 19.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: სენაკი, დ. ვაჰანიას ქ. 19 (საკადასტრო კოდი: 44.01.31.392).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 3550 ლარი;

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2017 წლის 30 მარტი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2017 წლის 13 აპრილი, 15:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP42231917; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 422319

6. მოვალე: ზაზა ზარქუა (პ/ნ 39001031623), სენაკი, ს. ჩიქოვანის 6; კახაბერ ზარქუა (პ/ნ 62001017820), სენაკი, დ. ვაჰანიას ქ. 19.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემეჯი პოლინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემეჯი პოლინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP42231917; ლოტის ნომერი: 422319).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 12 აპრილის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემეჯი პოლინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ამირან აბესაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ამირან აბესაძე (პ/ნ 60001130066), ქუთაისი, ახალგაზრდობის მე-9 შესახვევი №9.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქუთაისი, მაიაკოვსკის სახელობის ზეივანი, შესახვევი 9, №9 (საკადასტრო კოდი: 03.06.27.200).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 21173.11 ლარი;

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2017 წლის 30 მარტი, 14:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2017 წლის 13 აპრილი, 15:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP42231817; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 422318

6. მოვალე: გიორგი მუკანინი (პ/ნ 53001055876), წყალტუბო, სოფელი მალლაკი, მე-13 ქ. №8.

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემეჯი პოლინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემეჯი პოლინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP42231817; ლოტის ნომერი: 422318).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 12 აპრილის, 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

დემეტრე II თავდადებული

საქართველოს მეფე 1271-1289 წლებში. დავით VII ულუს ძე. მამის გარდაცვალების დროს 11 წლისა იყო. ოზოლს ზრდიდა ტარსაიჭ ორმელი. 1271 წ. საქართველოს მეფედ დაამტკიცა ყაენმა აბაღამ. 1277 წ. დემეტრემ ყაენის მიწვევით 300 ქართველი მეთაურით მონაწილეობა მიიღო და თავიც დიდად ისახელა ეგვიპტის სულტანის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1278 წელს გილანის დალაშქვრამ ახლდა მონღოლთა ყაენს. საარაუკო სიმამაციით იმართდა 1280, 1281, 1288 წლებშიც... 1288 წ. გამჟღავნდა არღუნ ყაენის დასამხობად მომზადებული შეთქმულება, რომლის სათავეშიც მუღა ნოინი აღმოჩნდა – დემეტრეს მძახალი



(ბუღას ვაჟს ცოლად ჰყავდა დემეტრეს ასული რუსუდანი). ყაენის ბრძანებით ბუღა ნოინის ყველა ახლომგელს თავები დააყრევინეს, მათ შორის ისეთებსაც, ვინც არაფერი იცოდა შეთქმულებაზე. ურდოში იხმეს დემეტრე მეფეც, სიკვდილი გარდაუვალი უნდა ყოფილიყო შეთქმულების მოთავეს ეგზომ ახლომგელი ადამიანისთვის...

საგანგებოდ შეყრილმა დარბაზმა ერთხმად მოითხოვა, მეფე არ წასულიყო ურდოში და გახიზნულიყო ქუთაისში ან მთიულეთში. მეფე ბრძანებდა, მე რომ არ წაგიდგე, ქვეყანა უნდა დამიქციონ მონღოლებმა, ხალხი ამომიწყვიტონ, ამიტომ „აწ მნიშავს, რათა წარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღვთისა: უკეთუ მე მომკლან, დაე, ქვეყანა ჩვენი უვნებლად დარჩეს“, და ურყევი ნებით გაემურა სამხრეთისკენ. 1289 წ. 12 მარტს, დილით, მოვაკანში, არღუნ ყაენის ბრძანებით მეფე დემეტრე II-ს თავი გაადგებინეს. მეფის ცხედარი მისი პირადი მღვდლის მოსეს და აზრაშ ამ კათალიკოსის მზრუნველობით მცხეთას ჩამოასვენეს და დაკრძალეს.

გამეფდა 11 წლისა, იმეფა 18 წელიწადი, აღესრულა 29 წლისა, იყო „ტანი-თა ახოვან, ფერთა ჰაეროვან, შესახედავად ტურფა, თმითა და ჩვერითა მწყაზარ და შვენიერ, თვალთა გრემან, ბეჭ-ბრტყელ, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეულ, უხვი, მოწყალე და მდამალი, გლახაკთა, ქვრივთა და დაუდრძოლთა მოწყალე“. იყო აღმშენებელი ეკლესიათა (თბილისში ააშენა მეტეხი). იქორწინა სამჯერ. მესამე ცოლისგან – ნათელა ბექა ჯაყელის ასულისგან ეშვა მომავალი დიდი მეფე გიორგი V ბრწყინვალე.

ხალხმა მისთვის შეწირულ დემეტრე მეფეს „თავდადებული“ დაარქვა, ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანად შერაცხა.

პახტანგ III

დავით VI ნარინის ძე, საქართველოს მეფე 1289-1293 წლებში. როცა არღუნ ყაენმა დემეტრე II სიკვდილით დასაჯა, ქუთაისიდან ვახტანგ ნარინის ძე გადმოაყვანინა, ლიხთიქითა და ლიხთაქითა, ანუ ერთიანი საქართველოს მეფედ დაამტკიცა და ცოლად თავისი და ოლჯათი შერთო.

ვახტანგი იყო „ტანი-თა სრული, პირითა ჰაეროვანი, ტკბილი, მოწყალე, სამართლის მოქმედი, უხვი, მდამალი, ენა-ტკბი-

ლი, ყოვლისა საქმისა მცოდნე, მხნე და სამხედროთა ზნითა აღსავსე“. ერთი სიტყვით, ყოველმხრივ შემკული მონარქი აღმოჩნდა.

ვახტანგის დროს ტფილისის კარზე მორატად მოქმედებდა ყაენისგან მიჩენილი მდროვე ვივინდარა ხუტლუგუა მანკაბერდელი, გასომხებული ქურთის და შემდეგ საქართველოში სომხის საღუნ მანკაბერდელის ვაჟი. ავანტიურისტი მამის ავანტიურისტმა შვილმა, როცა ვახტანგი ხელზე ვერ დაიხვია, გადაწყვიტა, დაემხო „უკანონო“ ვახტანგი და დემეტრე თავდადებულის უფროსი ვაჟი დავითი გაემეფებინა, მაგრამ მონღოლებმა ვახტანგს, რომელსაც ქართველი ერისთავები მხარს უჭერდნენ, ხელი არ ახლეს. ჯერაც ახალგაზრდა ვახტანგი მოულოდნელად გარდაიცვალა რაღაც „მცირე სენით“ 1293 წელს. დაკრძალეს გელათს.

დავით VIII

უფროსი ძე დემეტრე II თავდადებულისა. საქართველოს მეფე 1293-1313 წლებში. მამას ახლდა ურდოში სიკვდილით დასჯისას. მონღოლებმა ის ურდოში დატოვეს. ვახტანგ II-ის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ ქელათუ ყაენმა იგი მეფედ დაამ-

ჩვენი მირონცხებული სელმეიფენი

ტკიცა და საქართველოში გამოუშვა. დაჯდა ტფილისს ტახტზე და ქელათუს კარნახით ცოლად შეირთო ვახტანგის ქვრივი, არღუნ ყაენის და ოლჯათი.

დავით VIII-ის გამეფებისას საქართველოში მწვავედ მდგარა ოსების საკითხი. „იწყეს ოვსთა ოხრებად, ხოცად და რბევად და ტყუენვად ქართლისა, და ქალაქი გორი წარტყუენნეს და თავისად დაიჭირეს ოვსთა“. ეს ყველაფერი მონღოლთა მხარდაჭერით ხდებოდა. მეფე ხელფეხშეკრული აღმოჩნდა ოვსთა წინააღმდეგ მოქმედებაში.

1297 წ. ახალგაზრდა ყაენმა დავით VIII-ს შემოუთვალა, ურდოში მეწვე სასწრაფოდ. დავითმა დარბაზი შეჰყარა, რას მირჩევთ, როგორთა მოვიქცეო. დარბაზმა ურდოში წასვლა ურჩია, მაგრამ დემეტრე თავდადებულის ძემ ეს ვერ იკისრა. „რამეთუ აქუნდა შიში თათართა ყაენის ხილვისა“ და მთას (ჟინვალს) შეაფარა თავი. იქიდან ჩრდილოეთით, ვოლგაზე, ოქროს ურდოში, თავისი ძმა ვახტანგი გაგზავნა და იქაურ ყაენს თხოვას შეუთვალა, ყაზან ყაენზე საომრად წამოდი, მე გზას გაგიხსნი და ჩემი ჯარითაც შემოგიერთდებო. თოხთა ყაენმა გაიხარა ასეთი შემოთავაზებით, მაგრამ სამხრეთისკენ გამოლაშქრება ვერ გაახერხა. ყაზან ყაენი კი მოციქულს მოციქულზე უგზავნიდა, ქართველ მეფეს უნებლობის ფიცზე ახსლებდა, მძევლებსაც კი უგზავნიდა, მაგრამ დავითს ურდოსკენ ნამოკვც ვერ გადაადგმევინა. მაშინ, 1300 წელს, შემოიჭრნენ საქართველოში მონღოლ-თათარი, იმდენი, რომ „ვერ ეტეოდეს სადგომად“, და „არმევენენ ქართლსა“ უწყალოდ. ურიცხვი ტყვე წაიყვანეს. მომდევნო წელსაც ისევ შემოესივნენ მონღოლნი. ისევ ეატნენ მონღოლებიც და ქართველნიც დავით მეფეს, დაჰყოლოდა ყაენის ნებას, წასულიყო მასთან და შერიგებოდა. თითქოს დათანხმდა, მაგრამ ისევ გატეხა სიტყვა. ამასობაში დავითს ძმა ვახტანგი წაევიდა და ყაზან ყაენს მიუვიდა. ყაენსაც ეს უნდოდა და ვახტანგი საქართველოს მეფედ გამოაცხადა. 1302 წელს ვახტანგი ტფილისში მოვიდა და ტახტზე დაჯდა, დავითი კი მთიულეთში, გველეხის ციხეში იყო ჩაკეტილი. ძმებს შორის საომარი შეტაკებაც მოხდა, დავითი დამარცხდა და მთიულეთს უკუიქცა. 1311 წელს დავითი VIII გარდაიცვალა ნიკრისის სენით. დაკრძალეს მცხეთას. დარჩა მცირეწლოვანი შვილი გიორგი (მომავალი გიორგი VI, ანუ „მცირე გიორგი“).

პახტანგ III

დემეტრე თავდადებულის ძე, მომდევნო ძმა დავით VIII-ისა, საქართველოს მეფე 1302-1308 წ.წ., ყაზან ყაენმა იგი ტფილისში დასვა მეფედ ძმასთან დავით VIII-სთან დასაპირისპირებლად. ასე გაჩნდა ორმეფობა აღმოსავლეთ საქართველოში. ვახტანგს ნიჭიერი, მამაცი, ქველი ჭაბუკის სახელი ჰქონდა გავარდნილი. 1303 წელს იგი ყაზან ყაენმა ქართული ჯარით დამასკოში წაიყვანა შემოჭრილი ეგვიპტელი სულთანის ნასარ მალაქის წინააღმდეგ. მონღოლნი იძლივნენ. 1305 წელს ახალმა ყაენმა ოლჯაიტემ ვახტანგი გილანის დასაუფლებლად წაიყვანა. დამარცხდნენ და უკუიქცნენ მონღოლნი, ქართველნი კი მაინც იმართდნენ, ბოლოს დაჭრილი გამოიყვანეს თავიანთი მეფე. ვახტანგთან ერთად ისახელა თავი ბექა ჯაყელმა.

ოლჯაიტე ყაენს გადაუწყვეტია, საქართველოში ეკლესიები დაეწვია და ხალხი ისლამის რჯულზე მოექცია. მაშინ ვახტანგ მეფემ ერისთავები წაიყვანა, ყაენს ეახლა და მოახსენა: თქვენს წინაპრებს ჩვენი წინაპრების რჯულის ძალდატანებით შეცვლა არასოდეს უკადრებიათ და ნურც თქვენ იკადრებთ, სოლო თუ არ დაიშლით, აი, მოვსულვართ და ჯერ ჩვენ თავები დაგ-



დასხმა... 1315 წ. ოლჯაიტე ყაენმა გიორგი V ქართული ჯარით მცირე აზიაში მომხდარი აჯანყების ჩასაქრობად გაიწვია. ქართველებიც წავიდნენ და მონღოლები გააკვირვეს თავზე ხელადებული ვაჟკაცობით. ეს ქართველთა უკანასკნელი ლაშქრობა იყო მონღოლთა დაუსრულებელ ლაშქრობებში.

გიორგი საკუთარი ქვეყნის აღდგენას შეუდგა. გორიდან გაყარა და კავკასიონს გადაღმა გადაწვია მათხრებლად შემოსული ოსები. შეარეგა მტრად გადაკიდებული ქსნისა და არაგვის ხეობათა ქართველობა. სათათბიროდ დარბაზი შეჰყარა და მიაღებინა მისგანვე შედგენილი ახალი მკაცრი კანონმდებლობა – „ძეგლის დადგმა“, რომელიც სასტიკი შეურყევლობით და დაუთმენლობით აღადგენდა და განამტკიცებდა ტრადიციულ ქართულ სამართალს, სჯულსა და ზნეობას. ამას მოჰყვალა „სახელმწიფოს კარის გარიგება“ – ქართული სამეფო-სამართლებრივი „კონსტიტუცია“. მეფემ აღადგინა ტრადიციული სამეფო დარგები. მონღოლური. „ყაზანური თეთრი“ შეცვალა ქართული ვერცხლის მონეტით „გიორგაულ თეთრით“. აღადგენდა და აშენებდა 100 წლის მანძილზე დანგრეულ ნაოხარ ქალაქებს, სოფლებს, ციხესამაგრეებს, ტაძრებს.

1335 წელს გიორგი V-მ საქართველოს კისრიდან გადაავლო 100-წლიანი მონღოლური უღელი. ამ გამარჯვების აღსანიშნავად მეფემ ცივის მთაზე საზაფხულო სასახლეში ნადიმი გამართა და სტუმართაგან ვისაც მონღოლთა წინააღმდეგ სამამულო ომში მონაწილეობაზე უარი ჰქონდა ნათქვამი, პირველ რიგში მხარგრძელებს, მეფის ბრძანებით თავები დააყრევინეს. გიორგიმ ისარგებლა ქუთაისის სასახლის კარზე ატეხილი არეულობით, სასწრაფოდ ჯარით გადავიდა და დასავლეთ საქართველო – იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი, ყოველივე ნიკოფსიამდე კვლავ ტფილისის ტახტს დაუმორჩილა, მას უკან მესხეთიც შემოიმტკიცა, იმუამად მონღოლებმა სცადეს საქართველოს უკანასკნელად ხელყოფა. შეეგება გიორგი, სასტიკად დაამარცხა და გააქცა. ამის შემდეგ მონღოლი ქართულ მიწაზე აღარასოდეს გამოჩენილა. ახალი მტერი კი გამოჩნდა – ოსმალ-თურქები ორხანის მეთაურობით. გიორგი კლარჯეთის საზღვართან შეება მათ და ბრწყინვალედ გაიმარჯვა. 1340-1341 წლებში გიორგიმ ჯარები შეიყვანა პონტოში და იქ, ტრაპიზონის სასახლეში ძველი, თამარის დროინდელი ქართული ხელისუფლება აღადგინა. ამრიგად კვლავ აღდგა ერთიანობა საქართველოსი ნიკოფსიიდან დარუბანდამდე (ჩრდილოეთით) და სინოპიდან არდაველამდის (სამხრეთით), ანუ კავკასიური იმპერია დავითისა და თამარის „ოქროს საუკუნისა“. იერუსალიმში მხოლოდ ქართველებს ეძლეოდათ უფლება ცხენზე ამხედრებულებს და ეროვნული დროშების ფრიალით ევლოთ მის ქუჩებში. ასე აღმამეფებლისამეფრ იღვანა გიორგი V-მ., ქართველმა ხალხმა მას ბრწყინვალე უწოდა.

გარდაიცვალა 1346 წელს, დაკრძალეს გელათს. გამეფდა 24 წლისა, იმეფა 32 წელი.

ამოკრება ალექსანდრე პეტროვიჩი (გავრძელება იქნება)

© წინ, საბარტელო!

სტარტის ასეთი უნდა

თამის უფალი სტილით ჭიდაობაში საქართველოს 23-წლამდელთა ნაკრებმა უნგრეთის ქალაქ სომბათში დაწყებულ ევროპის ასაკობრივ ჩემპიონატზე სამი მედალი მოიპოვა. ავთანდილ კენჭაძე (74 კგ) და გივი მაჭარაშვილი (97 კგ) ევროპის ჩემპიონები გახდნენ, ივერიკო ჯულაყიძე (65 კგ) კი მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

ავთანდილ კენჭაძემ ფინალის გზაზე ფინელი პენრი ალექსი სელენიუსი (13:8), თურქი ნური თემური (7:4) და ბულგარელი ენგინ რაშიდ ისმაილი (14:1) ჩამოიშორა, ხოლო გადამწყვეტ ბრძოლაში საფრანგეთის ნაკრების წევრ ზელიმხან ხაჯიევთან შესხვედრის ბოლო წუთზე აგებდა და საფინალო გონგამდე ათიოდ წამით ადრე შესრულებული 4-ქულიანი გდებით მოიპოვა ევროპის ჩემპიონის ტიტული.

გივი მაჭარაშვილმა ევროპირველობა უკრაინის სახელით მოჭიდავე მურაზ მჭედლიძესთან დაპირისპირებით გახსნა და 3:6 მოიგო, შემდეგ მეტოქეებს: რუმინელ ვასილე ვლად კარასსა (10:4) და თურქ იუნუს ემრე დედეს (14:4) კი გაცილებით ადვილად სძლია. ფინალში იგი რუსეთის ნაკრების წევრ გიორგი გოგავეს დაეჭიდა და საოცრად დაძაბული და სანახაობრივი ბრძოლის ბოლო წუთზე მოწინააღმდეგე ბეჭეზე გააყრა.

ივერიკო ჯულაყიძემ (65 კგ) ძირითად ბადეში სამი შესხვედრა ჩაატარა. ებრაელი ემრაზ გასანოვისა (10:0) და მოლდოველი მაქსიმ საკულტანის (7:4) ძლევის შემდეგ ნახევარფინალში თურქ ჰაიდარ იაგუზთან დამარცხდა (1:13) და რეზუზაჟის ფინალში გადაერთო, სადაც საფრანგეთის ნაკრების წევრ ილმან მუხტაროვს აჯობა.

იმავე დღეს საქართველოს სახელით ევრო-



სალიჩაზე 57 კილოგრამში მოჭიდავე რამაზ თურმანიძეც გავიდა, მაგრამ მედლისთვის ბრძოლის გაგრძელების შანსი მეოთხედფინალში დაკარგა აზერბაიჯანელ ფარვიზ იბრაჰიმოვთან წაგებით (7:17). ამ შესხვედრამდე საქართველოს 23-წლამდელთა ნაკრების უმსუბუქესმა წევრმა პოლონელი დავიდ პიოტრ რომანოვიჩის ძლევა (7:1) მოახსრო.

თავისუფალი სტილით ჭიდაობაში კიდევ მედლების დარჩენილი ოთხი კომპლექტი გათამაშდება და საპრიზო სამეულები 61, 70, 86 და 125 კილოგრამ წონით კატეგორიებში შეივსება. საქართველოს სახელით ევროკონკურენციაში ჩაებმებიან: შოთა ფარტენაძე (61 კგ), მირზა სხუ-ლუხია (70 კგ), ირაკლი მნითური (86 კგ) და გენო პეტრიაშვილი (125 კგ).

კობა კობახიძე

© ფეხბურთი

დიდუბუში ეპროვლება სიმო დაუბერა

იშო დრო, საბჭოთა კავშირის ნაკრებზე ამბობდნენ, მსოფლიოს ჩემპიონია ამხანაგურმა მატჩებში. მართლაც, თვლა არ ჰქონდა იმ გამარჯვებებს, რომლებსაც ზესახელმწიფოს წითელმასურიანი ფეხბურთელები აღწევდნენ სპარინგებში, მაგრამ იწყებოდა უმნიშვნელოვანესი ოფიციალური ფორუმები და, იშვიათი გამონაკლისის გარდა, იმ გუნდის გულშემატკივრებს იმედგაცრუება ელოდათ.

იქამდე საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, სამწუხაროდ, ბევრი უკლია – სხვა რომ არაფერი, ესპანელებთან შარშანდელი „ძლევა“ საკვირველიდან უკვე ათი თვე გავიდა. კიდევ უფრო სავალალო სურათია 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ რაუნდში, სადაც ვლადიმერ ვაისის შეგირდებს ჯერ ერთი თამაშის კი არ მოუგიათ.

რადგან „ჯვაროსანთა“ სლოვაკი თავკაცი ვახსენეთ, ღირსება უნდა შევუქოთ მის ლატვიელ კოლეგა მარიან პახარსს, რომელშიც თავმოყვარეობამ გაიღვიძა და თბილისში მისი დამოძღვრელი ბიჭების მიერ გაცემი ფისკოს შემდეგ მთავარი მწვრთნელის თანამდებობა დატოვა.

საბარტელო – ლატვია 5:0

(პირველი ტაიმი 2:0)

გოლები: ანანიძე (2), ქვილითაია (2), არაბიძე.

საქართველო – მაკარიძე, ლობჯანიძე, ხოჭოლაძე, კაშია, ნავალოვსკი (ტაბიძე), კვეკვესკირი, გვილია (კიტეიშვილი), ანანიძე (ყაზაიშვილი), ჯილაური (არაბიძე), დვალისხელი (კობახიძე), ქვილითაია (კაჭარავა).

ლატვია – ვანისი (შტეინბორნისი), მაქსიმენკო, გორკსი, ლაიზანსი (ლა-ძინსი), ვიშნიაკოვსი (რაკელსი), ი. იკაუნიეკსი, სოლოვიოვსი, დ. იკაუნიეკსი, იაგოდინსკისი (ოხსი), კლუშკინსი (ლუკიანოვსი), კარლსონსი (შაბალა).

გაფრთხილება: დვალისხელი, კლუშკინსი, დ. იკაუნიეკსი, მაქსიმენკო, ხოჭოლაძე, კიტეიშვილი.

მსაჯი: ს. ბალაიანი (სომხეთი).

იმავე დღეს ჩვენს დედაქალაქში ვიზალიზერალიზაციის მიღებასთან დაკავშირებით დიდი ტაშ-ფანდური იყო გაჩაღებული, რაც ბორის პაიჭაძის სახელობის „დინამო არენაზე“ იგრძნობოდა, ოღონდ შესხვედრის დაწყების წინ, როცა სტრატეგიულ პარტნიორობა პრეზიდენტებმა ჯერ მინდვრის ცენტრში გამწვრივებული თანამემამულენი წარუდგინეს ერთმანეთს, ხოლო შემდეგ მათთან ერთად შეასრულეს სახელმწიფო ჰიმნები.

ზოგ-ზოგიერთები ვარაუდობდნენ, საზეიმო განწყობილება სარბიელზე მეგობრული ზავის გაფორმებით დაგვირგვინდებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ასე არ მოხდა.

მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის წინათ მეტოქეებმა დასანანი ბრძოლები წააგეს შესარჩევ ციკლში, ამიტომ ლოგიკური გახლდათ, გადახალისებული შემადგენლობებით რომ სცადეს რეპუტაციის აღდგენა. სასიამოვნოა, შედარებით მეტი მოტივაცია მასპინძლებს რომ აღმოაჩნდათ, თუმცა, დაგვეთანხმებით, ეიფორიაში ჩასავარდნად ეს საკმარისი არაა. ვიმედოვნებთ, ასეთი სოლიდური ფსიქოლოგიური მუხტის შემდეგ საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები კიდევ უფრო საფუძვლიანად შეიგნებენ, რომ სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობია.

ამხანაგური შესხვედრები:

საფრანგეთი – ესპანეთი 0:2, რუსეთი – ბელგია 3:3, ჰოლანდია – იტალია 1:2, ესტონეთი – ხორვატეთი 3:0, პორტუგალია – შვედეთი 2:3, ავსტრია – ფინეთი 1:1, ირლანდია – ისლანდია 0:1, მაკედონია – ბელარუსი 3:0, ალბანეთი – ბოსნია 1:2.

სამხრეთ ამერიკა. „მუნდიალ – 2018“-ის საკვალიფიკაციო ტურნირი. ბრაზილია – პარაგვაი 3:0, ეკვატორი – კოლუმბია 0:2, ჩილე – ვენესუელა 3:1, პერუ – ურუგვაი 2:1, ბოლივია – არგენტინა 2:0. არგენტინელთა ლიდერი ლეო მესი მსაჯის გინებისთვის ფიფამ 4-მატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

სატურნირო მდგომარეობა 14 ტურის შემდეგ: ბრაზილია – 33, კოლუმბია – 24, ურუგვაი, ჩილე – 23-23, არგენტინა – 22, ეკვატორი – 20, პერუ, პარაგვაი – 18-18, ბოლივია – 10, ვენესუელა – 6 ქულა.

გიორგი შოთაძე



© ჩოგბურთი

ნადალმა ფრანგული ბარიერი დაძლია

მაიაშის მასტერზის მერვედფინალში რაფაელ ნადალმა ფრანგი ნიკოლას მაიუ 6:4, 7:6 დაამარცხა. შესხვედრა საათსა და 36 წუთს გაგრძელდა. მატჩში ერთადერთი ბრეიკ-პოინტი იყო, რომელიც პირველ სეტში ნადალმა გამოიყენა, მეორე პარტია კი ტაი-ბრეიკზე რაფამ 7:4 მოიგო.

1/4-ფინალში პირენეელი ამერიკელ ჯეკ სოკს შესხვედრა, რომელსაც ურთიერთშესხვედრებში 2:0-ს ამარცხებს.

მაიაშის მასტერზის საპრიზო ფონდი 7.9 მილიონ დოლარს შეადგენს.

ვითალი ჯაფარიძე



ინტერნეტიდან

მესის უამრავი ძალი ეფანსება

საბამოსთან ერთად მუხთალი რამაცა ეს პოპულარობა. კი ბატონო, ძალიან სასიამოვნოა, როდესაც ყველა შენზე საუბრობს, ყველას გამოირჩეულ ადამიანად მიაჩნის და მთელი ბულვარული მედია შენს ამოსუნთქვაზე წერს, მაგრამ იმას რას ვუზამთ, როდესაც პოპულარობა მანიაკობაში გადადის?...

აი, მაგალითად, არგენტინელი სუპერმეგოლე ლეო მესი, როგორც თავად ამბობს, ძალიან დაღალა პოპულარობამ და განსაკუთრებით იმან, რომ რომელ ქალსაც კი არ ეზარება, ყველა მასთან თანაყოფას ჩემულობს

და ვისაც კი პოპულარობა სურს, ყველა მესის სარეცელისაკენ მიიწევს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩია არგენტინელს არაერთხელ უთქვამს (და ეს ცხოვრებითაც დაუმტკიცებია), რომ თავის ცოლთან თავს მშვენივრად გრძნობს და სხვა ქალებისაკენ თვალი არ გაუბრუნებს, როგორც ესპანური მედია წერს, დაახლოებით 20-მდე ცნობილი მოდელი ახლავს მზადაა, რომ მესის წინაშე ფეხები ზე აჰლაკოს და ვინც ამას გულში ფიქრობს, მათ რა დათვლის და აღრიცხავს...

როსტომ რაჭველიშვილი



კოლეგის არღაპიფიზა

სხინვალები რედაქტორი

სამაჩაბლოში, საქართველოს ამ თვალმარგალიტ კუთხეში, დღეს რომ რუსეთის მიერაა ოკუპირებული, ოდითგანვე ზეობდა სიტყვა ქართული. ცხინვალურ-თამარაშნული ქართული სასიტყვეთის მუდამ ქომბად გვეიმედებოდა და ერთგულ დარაჯად იდგა მწერალი და პუბლიცისტი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი მასიმ სპანაძე.

ლიახვისპირა ქალაქი ძირძველი ცხინვალელი შემოქმედის უზომო სიყვარული, მონატრებული ნავსაყუდელი და წარუშლელი ცხოვრების კრედიო იყო. ვაგლახ, ბედისწერაჲ! ამგდარ რედაქტორს, მისთვის სათაყვანებელ სამგვიდროში შესვლა ოცნებად დაურჩა.

ცხინვალქალაქში, ალექსი საბანაძის ფუძელიერ ოჯახში დაბადებულ-გაზრდილი, ქართული გვარისა და ჯიშ-ჯილაგის გამგრძელებელი ყმაწვილი იქვე, ლეგენდარული ვახტანგ კასრადის სკოლაში ეზიარა აკაკის, ვაჟას, ილიას... უკიდევანო პოეზიის საიდუმლოებას. XI კლასიდან სწავლას აგრძელებს და წარჩინებითაც ამთავრებს თბილისის №41 საშუალო სკოლას.

1946 წელს ე. საბანაძემ ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტობა იზეიმა. უმაღლესი სასწავლებლის დასრულებისთანავე მუშაობა დაიწყო ცხინვალის რაიონის ქუთაის რეაგნიონ სკოლაში დირექტორად. შემდეგ, შრომითს საქმიანობას განაგრძობს ცხინვალის №1 ქართული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, საქართველოს რადიოს საკუთარ კორესპონდენტად. მისი ჟურნალისტური აღმასვლა მაინც ცხინვალში გამომაგალ ერთადერთ ქართულენოვან საოლქო გაზეთის რედაქციას უკავშირდება ჯერ ლიტერატურულ მუშაკად, განყოფილების გამგედ, რედაქტორის მოადგილედ, რედაქტორის მოვალეობის შემსრულებლად.

გასული საუკუნის 90-იანი წლების გარიჟრაჟზე, ქართულ-ოსური კონფლიქტის მიმე დღეებში, ბატონი ვასილი მთავარი რედაქტორია გორში გამომავალ ცხინვალის რეგიონის გაზეთებისა — „შიდა ქართლი“ და „ცხინვალი“.

ლიახვისპირელი რედაქტორი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონალურ ორგანიზაციას. მისი ჟურნალისტური ტალანტი განსაკუთრებით გამოვლინდა დევნილი გაზეთების დაარსებით, კოლექტივთან ერთად, რითაც შესაძლებელი გახდა ბუდე-მოშლილ ცხინვალელთა ტკივილის სრულიად საქართველოსთვის გასაგრძელება.

დამსახურებული ჟურნალისტის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობისას, პრესის ფურცლებზე ასობით პუბლიკაცია გამოქვეყნდა. აღსანიშნავია ბოლო დროს დაბეჭდილი საგაზეთო წერილი „გამარჯობა, ცხინვალო“, სადაც საოცარი მგრძნობელობით, გულის სიღრმიდან წამოსული სევდა თან ერთვის საერთო მდგომარეობით შექმნილ უიმედობას, რაც განაპირობა მშობლიურ ქალაქთან მრავალწლიანმა განშორებამ. მიუხედავად ამისა, დაუდგრომელი შემოქმედის, დევნილობის ჟამს, ყოველთვის შესაშური ოპტიმიზმით გამოირჩეოდა და მომავალს იმედით უმზერდა.

წინაპართა კერიდან დევნილი რედაქტორის ღვაწლის შეფასებისას არ შეიძლება აუღელვებლად წაიკითხო აკადემიკოს აკ. თოფურიას პირადი წერილი — „ჩემო ძვირფასო, ბატონო ვასილ!

გაოგნებული და მოხიბლული ვარ თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ესოდენ მრავალმხრიობით და მასშტაბურობით: თქვენ გარშემო შემოკრებილი კოლექტივის პროფესიონალიზმით და ენთუზიზმით, უმძიმეს პირობებში ერთდროულად რამდენიმე გაზეთის გამოშვების წარმატებულობით და ორგანიზაციით. ყოველივე ეს აღემატება ენ. თაოსნობის, თავგამოდების აქამდე ჩემთვის ცნობილ „მწვერვლებს“ და უნდა აღქმული იქნეს და მომავალში აღიქმება კიდევ როგორც თანამედროვე ჟურნალისტიკაში თავგანწირვით გმირობის უშუალო მაგალითი.“

ღვანულამოსილი შემოქმედის ლიტერატურული თუ პუბლიცისტური ნარკვევები მაღალმატვრულობით და ადამიანთა სულში წვდომის უნარით გამოირჩევა. იგი ავტორია წიგნებისა: „ცხინვალი და ცხინვალელები“, „ცხინვალის 31 ქართული საშუალო სკოლის ისტორია“, „ცხინვალელი მანდილოსნები“, „ჩემი მშობლიური ცხინვალის ინსტიტუტი“, „ლიახვის ხეობის ცნობარი-ენციკლოპედია“ (მედიცინა), „ქართულ-ოსური ოჯახები“.

ამაგდარი კალმოსნის ღვაწლი სათანადოდ დაფასდა. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 31 დეკემბრის განკარგულებით, ცხოვრებისეული თემების მაღალკვალიფიციურ დონეზე წარმოჩენისათვის, აქტიური შემოქმედებითი მოღვაწეობისა და ახალგაზრდა პროფესიული კადრების მომზადებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

ცხინვალიდან დევნილ ჟურნალისტთა „ბერ-მუხას“ თავისი საქმიანობისთვის არასდროს უღალატია. მისმა გარდაცვალებამ, თვალცრემლიან ოჯახთან ერთად, კოლეგა-ჟურნალისტებს მასთან გატარებული დღეების და წლების არაერთი საუკეთესო, ღირსსასწოვარი მოგონებები დაგვიტოვა, რომლებიც თავისთავად, იქ, იარაღის მუქარით, ქართველებისგან მიტოვებულ ლიახვისპირა ქალაქს ესაღებუნდა.

მარტი, ოპ, ეს მარტი... გორი, კვერნაქის სასაფლაო... ადრეული გაზაფხულის იმ ცრიაკ და ქარიან დღეს თმაშევერცხლილი კაცი დილიდანვე მშვიდად ჭრიდა საფლავის მიწას. ნაშუადღევს, პროცესია აღმართს აუყვა. პეშვით მიწა — უკანასკნელი საჩუქარი... და, ჰოი, საოცრებაჲ! ნიჩაბზე დაყრდნობილმა მესაფლავემ დამჭკნარ ღანვებზე ჩამოგორებული ორიოდე კურცხალი დაჭმუჭუნულ-კოპლებიანი ცხვირსახოცით მაღულად მოიწმინდა...ვიცხოვროთ ისე, სიკვდილის შემდეგ მესაფლავესაც რომ დაენანო...“ — სწორად ბრძანებდა მარც ტვენი. ასეც იცხოვრა... წავიდა, ცოდე-ბრალით დამძიმებულ სანუთროს განერიდა კიდევ ერთი ღირსეული ცხინვალელი. ამიერიდან მის სახელოვან სახელს არდავიწყების შარავანდედი მოსავს.

ცხინვალელ დევნილ ჟურნალისტთა სახელით, როზმარტ ოდიკაძე



გამოსათხოვარი

მეუღლე ელენე გიორგაძე, შვილები ნუცა, ნათია, შვილიშვილები ალექსანდრე, ელენე, სიძეები ირაკლი პატარაია, ირაკლი ქობალია, ცოლისდა ეთერ, ქვისლი ფელიქს ბესტავაშვილები, ლიკა ბესტავაშვილი, ალესანდრო გალო, სიმამრი რომა გიორგაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვასილ არჩილის ქა ჩაჩიბაია

პანაშვიდი 30 მარტს 19სთ. 31 მარტს-17სთ. გამოსვენება 1 აპრილს, ქაშუეთის ეკლესიიდან, 15სთ. მისამართი: ი. ჭავჭავაძის № 35, II სადარბაზო (შესახვევი თურქეთის საელჩოს შენობის გვერდით)

ენდოკრინოლოგიის ეროვნული ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი ინსტიტუტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, სახელოვანი ქირურგი, მრავალი სამამულო თუ საერთაშორისო ჯილდოსა და პრემიის მფლობელი, გამორჩეული პიროვნული და პროფესიული თვისებების ადამიანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი



ვასილ ჩაჩიბაია

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 30 მარტს 19 საათზე, 31 მარტს 17 საათზე, მისამართი: ი. ჭავჭავაძის 35ა, მე-2 სადარბაზო (შესახვევი თურქეთის საელჩოსთან). გამოსვენება შაბათს, 1 აპრილს, 15 საათზე ქაშუეთის ეკლესიიდან.

შალვა მაგალობლიშვილი იუწყება

სერგო ქასარაშას

გარდაცვალებას. დაკრძალვა ხონში 2 აპრილს.

სასამართლო ბათუმის მოქალაქის დროს დაკავებული კიდე პატივი პირი გაათავისუფლა

ბათუმის საქალაქო სასამართლო მამუკა ბერიძის მიმართ ადმინისტრაციული სამართალწარმოება მტკიცებულებების არქონის გამო შეწყვიტა.

დაცვის მხარეს სასამართლო პროცესზე მოწმეც ჰყავდა წარმოდგენილი. მისი განმარტებით, აქციის ღამეს, მამუკა ბერიძესთან ერთად, ღამის კლუბში იმყოფებოდა, რის გამოც საპატრულო პოლიციის მიმდებარე ტერიტორიაზე გვიან ღამით მოუწია გამოსვლა, საპატრულო პოლიციამ კი ის როგორც აქციის მონაწილე, უსამართლოდ დააკავა.




მეკლავობა გვიგულში

50 წლამდე მამაკაცი ცეცხლსასროლი იარაღით სახლთან ახლოს მოკლეს. მომხდარის ვერსიებზე გარდაცვლილის ოჯახის წევრები და ახლობლები არ საუბრობენ. თვითმხილველების ინფორმაციით, კი მათ მხოლოდ ორი გასროლა გაიგეს.

შემთხვევის ადგილზე სასწრაფო დახმარების ბრიგადაც იყო მისული და დაჭრილი საავადმყოფოშიც გადაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ შეძლეს. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

ბოლოს და ბოლოს, კილაქის ვაჟს სავიკაში იჩიარა თუ სავიკაში იჩიარა?



თბილისის პროკურატურამ გაზეთ „ქრონიკა“-ის რედაქტორის ელისო კილაძის შვილის, დავით ხარშილაძის დაკავებისას, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე გამოძიება დაიწყო.

ელისო კილაძის თქმით, მომხდართან დაკავშირებით უკვე დაიკითხა მისი შვილი.

დავით ხარშილაძეს ხუთი საათის განმავლობაში კითხავდნენ. მან გამოძიებას სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდა.

ელისო კილაძე ყველა იმ სამართალდამცველის დაკითხვასაც ითხოვს, რომლებიც დაკავების ოპერაციაში მონაწილეობდნენ.

„გამოძიების ფარგლებში უნდა მოხდეს სამართალდამცველების დაკითხვაც, ვინც ამ სპეცოპერაციაში მონაწილეობდა. გამოძიების მასალებით მათი რიცხვი არის სამი, მაგრამ რეალური ინფორმაციით, სამი ეკიპაჟი ანუ 12 პოლიციელი. თუ იქნება პოლიტიკური ნება იმისა, რომ დამნაშავეები დასაჯონ, დამნაშავეები დაისჯებიან, თუ არ იქნება ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური გადაწყვეტილება დამნაშავეები არ დაისჯებიან და ეს გამოძიება იქნება ფორმალური,“ — განაცხადა ელისო კილაძემ.

როსა დაავადება უკან იხეხს

ცნობილი სახალხო მკურნალის, ქალბატონ მაყვალა ცინცაძის უძველესი საოჯახო სამკურნალო ტრადიციების გამგრძელებელი ნანა მელნიკა-პაიჭაძე წინაპრების მიერ გადმოცემული ტექნოლოგიით სწრაფად და ეფექტურად მკურნალობს პათოლოგიას და ასევე მკურნალობს მცენარეული საფენ-მაღამოებით 1.ძმალ-სახსროვნან დაავადებებს: მარტილებს, პისრის, გუხლ-სახსრის, გინჯ-ბარკაყის ართროზს; 2. ოსტეოქონდროზს; 3. რადიკულიტს; 4. დისკოზს; 5. ნერვის და სახსრების ანთიპას; 6. ფიხის ტარფის, ძუსლის ტიპილს.

ვისაც გასურთ სწრაფად, ეფექტურად მკურნალობა და უპირატესობას ანიჭებთ საუკუნეებგამოვლილ, აღიარებულ მცენარეულ მაღამოებს, შეგიძლიათ, მიაკითხოთ ქალბატონ ნანას მისამართზე: ქ. თბილისი, წერეთლის მე-3 კორპუსი, მე-2 სადარბაზო, მე-2 სართული. ნანა მელნიკა-პაიჭაძე. ტელ: 2 34 62 51. 557 25 66 17. 599 20 19 66.

ამოღებულია უკანონო მხსენსასროლი იარაღი

შსს-მ უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის მესტიის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად 1977 წელს დაბადებული ხ.ც. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, „აკ-74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, 2 მჭიდი და 14 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ვიფიქროთ და ვიაზროვნოთ ქართულად!

დღეიდან პროექტი „ვიფიქროთ და ვიაზროვნოთ ქართულად“ იწყება. საგანმანათლებლო ცენტრი „ცამდე“ „თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით მთელ საქართველოში სკოლის მოსწავლეებს ქართული ენის შესახებ ამბავს სახალისო და საინტერესო ფორმით მოუყვება.

პროექტის ფარგლებში ქართული ენის კეთილ ელჩებად ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და რეგიონული უმაღლესი სასწავლებლების 53 მოხალისე სტუდენტი შეირჩა, რომლებმაც შესაბამისი ტრენინგი უკვე გაიარეს. 29 მარტიდან თვენახევრის განმავლობაში 1500 სკოლაში თითო სახალისო გაკვეთილი მესამედან მეთერთმეტე კლასელი მოსწავლეებისთვის ჩატარდება.



პროექტის მიზანია, ახალ თაობას მიეცეს ბიძგი: იფიქროს, იაზროვნოს, წეროს და იკითხოს ქართულად.

გაკვეთილი ინტერაქტიულ თამაშს მოიცავს, რომლის საშუალებით მოზარდები დაინახვენ, თუ რამდენად ხშირად გამოიყენება სალაპარაკო ენაში ქართული ენის დამახინჯებული ფორმები, ბარბარიზმები, კალკები და რამდენად აბინძურებენ ისინი ენას.

ღია გაკვეთილი 30 წუთს გაგრძელდება. მოსწავლეები ჩაერთვებიან თამაშში, ისინი ამბის მთავარი გმირის დახმარებას იმ შემთხვევაში შეძლებენ, თუ ქართულ ტექსტებს ორაზროვანი წინადადებებისგან, ბარბარიზმებისგან, კალკებისა და სხვა შეცდომებისგან გაათავისუფლებენ. გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებს სთხოვენ ენაში დღეს ყველაზე აქტიურად გამოყენებად რამდენიმე უცხო სიტყვას ქართული შესატყვისები უპოვონ.

„ვიფიქროთ და ვიაზროვნოთ ქართულად“ ქართული ენის ფესტივალის პირველი ეტაპია, რომელიც პროექტის „წერე ქართულად – მხარდაჭერით ხორციელდება.“

„საუფროსო“ წყვილები

არცთუ დიდი ხნის წინათ, აზერბაიჯანის, პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა, რომელმაც ეს თანამდებობა მემკვიდრეობით მამისგან, ჰეიდარ ალიევისგან მიიღო, ქვეყნის პირველ ვიცე-პრეზიდენტად თავისი მეუღლე მეჰრიბანი დანიშნა. ამდენად, მეუღლის დაკავებულობის შემთხვევაში, ქალბატონ ალიევის მეუღლის შეცვლის სრულიად ლეგიტიმური საფუძველი ექნება.

ამ დანიშვნამდე, მეჰრიბანი ალიევა მილიმეფლისის დეპუტატი იყო და ჰეიდარ ალიევის ფონდს ხელმძღვანელობდა. ასეთი „ოჯახური მმართველობები“ მსოფლიო პოლიტიკაში მანამდე იყო ცნობილი: მაგალითად, 1973 წელს არგენტინის მამუიდელომა პრეზიდენტმა ხუან პერონმა ვიცე-პრეზიდენტად თავისი მეუღლე ევიტა პერონის არჩევას დიდად შეუწყო ხელი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის სათავეში ორ წელს იყო.

ცოტა ხნის წინათ კი ნიკარაგუას ვიცე-პრეზიდენტი, მისი ხელმძღვანელის, პრეზიდენტ დანიელ ორტეგას თანამეცხედრე როსარიო მურილიო იყო.

2016 წელს უგანდის პრეზიდენტმა იოვერი მუსევენიმ თავისი ცოლი ჯანეტი განათლებისა და სპორტის მინისტრად დანიშნა.



მსგავსი ამბები დასავლეთის ქვეყნებშიც მრავლდება: საფრანგეთის პრეზიდენტის ფრანსუა ოლანდის ყოფილი სამოქალაქო ცოლი სეგოლენ რუაილი უკვე სამი წელია ქვეყნის ეკოლოგიის მინისტრია.

ყველაზე ცნობილი „პოლიტიკური წყვილი“ კი ამერიკელი კლინტონები – ბილი და ჰილარი არიან. როგორც ცნობილია, ბილი უკვე იყო ქვეყნის პრეზიდენტი, ჰილარის კი, რომელიც მანამდე სახელმწიფო მდივანი გახლდათ, ცოტა ხნის წინათ, პრეზიდენტობამდე სულ რაღაც ერთი ნაბიჯი დააკლდა...

ნინო ალექსანდრიძე


ტკბილი ძილის „სარფიანობა“

ზამთრის ცივ ამინდში კაცს მეტი ძილი უნდა, რაც ყველას გვაქვს გამოცდილი საკუთარ თავზე. ამასთან, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ისინი, ვისაც მეტი ხანი სძინავს, სამსახურში სხვებზე მეტ გასამრჯელოს იღებენ.

აღმოჩნდა, რომ ერთჯერადად ერთი საათით მეტი ძილი შემოსავალს 1,5 პროცენტით ზრდის, ხოლო იმავე დროით მეტი ძილი ხანგრძლივი დროის მანძილზე ხელფასზე უკვე 4,9-პროცენტით ან დანმატს „უდრის“.

გარდა ამისა, მკვლევარები იმასაც აცხადებენ, რომ ორი კვირის მანძილზე მხოლოდ 6 საათის ძილს იგივე ეფექტი აქვს, რაც ორი დღე-ღამის განმავლობაში უძილობას, ხოლო ერთი საათის ღამის ძილის დანაკლისის კომპენსირება დღის განმავლობაში ერთი საათით დაძინებით შეიძლება.

ამასთან, კალიფორნიის სან-დიეგოს უნივერსიტეტის სპეციალისტთა მტკიცებით, უფრო მაღალი შემოსავალი სწორედ იმ ქვეყნების მოსახლეობას აქვს, სადაც მოკლე სინათლის დღეა. ამას მარტივი ახსნა აქვს: ვინც კარგად ისვენებს, ის ასევე კარგად მუშაობს.



დასაჭურისებულნი



მამაკაცთა კასტრაციის (ანუ დასაჭურისების) პრაქტიკა უძველესი დროიდან მოდის, რის ყველაზე ცნობილი მაგალითია აღმოსავლეთის ქვეყნებში ჰარამხანების დაკოდილი მსახურები. ასეთები ჩინეთის იმპერატორთა კარზე სულაც მე-20 საუკუნის დასაწყისამდეც ათასობით იყვნენ.

მრავალი საუკუნის მანძილზე დასაჭური-სება სექსუალურ აგრესიასთან ანდა დანაშაულებრივი სასიყვარულო კავშირის დანაშაულისთვის სასჯელი იყო. მაგალითად, მე-12 საუკუნის ფრანგი პოეტი პიერ აბელარი დიდგვაროვანი ქალიშვილისადმი ელოზად დაუოკებელი ვნების გამო დაკოდა. ასეთი ოპერაციები რელიგიური მოტივებითაც ხდებოდა. მაგალითად, ა. კუპრინის მოთხრობაში „სულამითი“ თეოდაკოვდის პროცედურის აღწერაა, რომელსაც სიყვარულისა და ძალაუფლების ქაღალდით ასტარტას ქურუმები იტარებენ.

სისტემების „ნაზავი“

თქმის ბაბილონური სისტემა – ისაა ათობითი და სამოცობითი სისტემების თავისებური „ნაზავი“: 60-ზე მცირე რიცხვები ჩვენთვის ჩვეულებრივად „ინერგობდა“ („კაკვი“ ათეულებს ნიშნავდა, „სოლი“ კი – ერთეულებს).

იგივე ნიშნები გამოიყენებოდა შემდეგი განრიგების ათეულ-ბისა და ერთეულების აღსანიშნავად. მაგალითად, რიცხვი 153 ასე აღინიშნებოდა: 153!2X60+33.

ბაბილონელი მათემატიკოსების თავიანთ გაანგარიშებაში მოუხერხებელი თიხის ფირფიტებზე დაწერილი გამრავლების ტაბულების გამოყენება უნდვდათ, რომლებშიც 59 სტრიქონი და 59 სვეტი იყო. ჩვენს დრომდე ასობით სოლის ნიშნებით დაწერილმა არითმეტიკულმა თხზულებამ მოაღწია.



რაბოი ისვლის ფარს ქაეღაონი?

თუკი ამ კითხვაზე ვუპასუხებთ, რომ ქამელეონი ფერს მტაცებლებისგან თავის დასაცავად გარშემო ფონთან შესარწყმელად იცვლის, მართლესი მხოლოდ ნაწილობრივ ვიქნებით.



აღმოჩნდა, რომ ქამელეონის ფერი ასევე დამოკიდებულია განათებაზე, ტემპერატურასა და... მის განწყობაზე. გარდა ამისა, ქამელეონი ფერს უნებლიეთაც იცვლის ისევე, როგორც წითლებიან ადამიანები.

ქამელეონებს გამჭვირვალე და მრავალფეროვანი კანი აქვთ, რომელთაგან ზედა ნითელ-ყვითელი უჯრედებისგან შედგება. ამ ფერის ქვეშ კიდევ ორია განთავსებული, რომელთაგან ერთი ლურჯ, მეორე კი თეთრს ირეკლავს. ყველაზე ღრმად კი მუქი ყავისფერი პიგმენტის მელანინის შემცველი ფენა განთავსებული. სხვა ფენებთან მათ რვაფერხას საცეცებისნაირი წანაზარდები აკავშირებთ.

ჰოდა, სწორედ განათების, ტემპერატურისა და ემოციების ზემოქმედებით ეს წანაზარდები ზომებში იცვლებიან, რის შედეგად წითელი, ყვითელი და ყავისფერი ფერების თანაფარდობა იცვლება.

საქართველოს
რესპუბლიკა
**SAKARTVELOS
REPUBLIKA**

სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი

საპრტაკ მოხუღია

293-13-34

599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:

გურამ გომიამილი

599 53-76-16;

ალეკო

ასლანიშვილი

599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი

მამუკა ვაშაქიძე

514 33-33-24

გამომცემელი:

შპს „თანამდგომარეობა“-გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკის“

გამომცემელი

ტ: 599 79-76-79

შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა

„ქოლოში“

რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაქ)070.4(479.22)

ს-323

ISSN 2233-3851



ავტორთა
საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს
რესპუბლიკა“
შენი გაზეთი,
აუსილებლად
წაიკითხე!